საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№023
(12 400)

30 იანვარი ოთხშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# ლეინის წელიწადი და სამი დღე პორტუგალიამდე

## რეპორტაჟი ახალი მწვრთნელის პირველი ვარჯიშიდან



10-11

## ჩემპიონატი 23 თებერვალს განახლდება

| XIV ტური |
|---|
| 23 თებერვალი, შაბათი |
| ბათუმი-დილა |
| მგლები- მესხეთი |
| სპარტაკი- სიონი |
| დინამო-ოლიმპი |
| 24 თებერვალი, კვირა |
| ამერი- ლოკომოტივი |
| მერანი- ბორჯომი |
| ვიტ ჯორჯია- ზესტაფონი |

მეორე წრის კალენდარი 2

## როდის დაინიშნება მწვრთნელი

12





## ნილი ნაყარია: ბელარუსი, შვედეთი და სლოვენია

დლეიდან ჩოგბურთი. ფედერაციის თასი 9

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# ექსპრეზიდენტის ვარაუდი:
## ბორჯომს დაფინანსება ექნება, მაგრამ...

არის სპონსორი, არ არის ფული „ბორჯომისთვის“ - ამაზე „ლელოს“ წინა ნომრებში სპონსორ ტარიელ ფერაძესთან, სამხარეო გუბერნატორ გოგა ხაჩიძესთან და ბორჯომის მაჟორიტარ პარლამენტარ ნოდარ გრიგალაშვილთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ, ახლა კი „ბორჯომის“ პრეზიდენტ დავით გელაშვილს ვესაუბრეთ, თუმცა მან გვითხრა,რომ კლუბის პრეზიდენტობას აღარ აპირებს. გელაშვილი კლუბის მეწილე არ ყოფილა, მისი პრეზიდენტობა მხოლოდ კლუბის მართვით შემოიფარგლებოდა.

- შეიძლება ითქვას, რომ „ბორჯომიდან“ უკვე წასული ვარ. თუ ქართულ ფეხბურთში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება, შესაძლოა დავბრუნდე ფეხბურთში.

**- როდის გააფორმა ბიზნესმენმა ტარიელ ფერაძემ ბორჯომის გამგეობასთან ხელშეკრულება კლუბის დაფინანსებაზე და თქვენი პრეზიდენტობისას „ბორჯომმა“ სპონსორისგან რა თანხა მიიღო?**

- ხელშეკრულება შარშან გაფორმდა, თუმცა „ბორჯომს“ სპონსორისგან ჯერ არაფერი მიუღია. კლუბს ბორჯომის გამგეობა აფინანსებდა. გამგეობის წლიური ბიუჯეტი 10-12 მილიონი ლარი იყო, მაგრამ ახლა შემოსავლების უმეტესი ნაწილი ცენტრალურ ბიუჯეტს მიაქვს და ბორჯომის გამგეობის ბიუჯეტი 2 მილიონმდე შემცირდა, რის გამოც „ბორჯომი“ ველარ ფინანსდება.

**- სამხარეო გუბერნატორმა გოგა ხაჩიძემ გვითხრა, კლუბს განვითარების გეგმა თუ ჰქონდა, საკითხავიაო...**

- ჩვენ ყოველთვის გვქონდა გეგმა. როცა უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ვიბრძოდით, სათანადო გეგმაც გვქონდა. ამ სეზონში რომელიმე ევროსაგზურის მოპოვება დავისახეთ მიზნად და პირველი წრე მეოთხე ადგილით ჩავამთავრეთ, გავედით თასის მეოთხედფინალში, ანუ მიზნისკენ კარგად მივიწევდით, მაგრამ ამ გეგმისთვის აუცილებელი დაფინანსება გუნდს აღარ აღმოაჩნდა.

**- გუბერნატორმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება,"ბორჯომში" შვიდ არგენტინელი რომ მიიწვიეს ამისგან რა გამოვიდაო...**

- ეს არგენტინელები ნიკო პატარქალიშვილმა გამოგვიგზავნა, მაგრამ ჩვენ მათში ფული არ გადაგვიხდია, გამოვცადეთ ისინი და უკან გავაბრუნეთ. მანამდე ორი არგენტინელი ავიყვანეთ და მათ მართლაც კარგად ითამაშეს საქართველოს ჩემპიონატში. ერთი მათგანი დე პორასი კი მოგვიანებით სამ მილიონ დოლარად გაიყიდა. ჩვენ მის შესანარჩუნებლად სახსრები ვერ გამოვნახეთ, ის არგენტინის „როსარიო სენტრალში“ დაბრუნდა და იქიდან ერთ-ერთ ბერძნულ გუნდში სამ მილიონად გაყიდეს. ეს ფეხბურთელი რომ შეგვენარჩუნებინა, ამხელა თანხას „ბორჯომში“ მოვიტანდით.

**- თქვენ არ მიგიტანიათ საკუთარი ფული „ბორჯომში''?**

- კი ,ეს თანხა დოკუმენტურად არის გატარებული და ახლო მომავალში ალბათ ამ თანხას დამიბრუნებენ?

**- „ბორჯომს“ ვინ უხელმძღვანელებს და საერთოდ, როგორ გამოვა ამ სიტუაციიდან კლუბი?**

- „ბორჯომის“ საქმეებს კლუბის დირექტორი ვახტანგ მაისურაძე გაუძღვება. „ბორჯომს“ ალბათ რამდენიმე დღეში გაუჩნდება დაფინანსება და სავარაუდოდ შვიდ ასე თუ ისე გამოცდილ ფეხბურთელს დაიმატებს, თუმცა ასეთი გუნდით „ბორჯომს“ მეოთხე ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

**დავით თავართქილაძე**



მეორე წრის პირველივე ტურში დინამო-ოლიმპია

ეროვნული ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# კალენდარი მზადაა

პროფესიული ფეხბურთის ლიგამ უკვე დაასრულა უმაღლესი ლიგის მეორე წრის კალენდარზე მუშაობა. კალენდარს რამდენიმე დღეში პფლის გამგეობის სხდომა დაამტკიცებს, მასში სავარაუდოდ არაფერი შეიცვლება. შეგახსენებთ, სეზონი 17 თებერვალს განახლდება საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩებით.

**XIV ტური**

**23 თებერვალი, შაბათი**

ბათუმი-დილა
მგლები-მესხეთი
სპარტაკი-სიონი
დინამო-ოლიმპი

**24 თებერვალი, კვირა**

ამერი-ლოკომოტივი
მერანი-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი

**XV ტური**

**1 მარტი, შაბათი**

ზესტაფონი-მესხეთი
სიონი-დინამო
ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია
ბორჯომი-სპარტაკი

**2 მარტი, კვირა**

ოლიმპი-ბათუმი
დილა-ამერი
მერანი-მგლები

**XVI ტური**

**7 მარტი, პარასკევი**

ამერი-ოლიმპი
მგლები-ზესტაფონი
სპარტაკი-მერანი
დინამო-ბორჯომი

**8 მარტი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-დილა
მესხეთი-ლოკომოტივი
ბათუმი-სიონი

**XVII ტური**

**15 მარტი, შაბათი**

ოლიმპი-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-ზესტაფონი
მერანი-დინამო
სპარტაკი-მგლები

**16 მარტი, კვირა**

სიონი-ამერი
დილა-მესხეთი
ბორჯომი-ბათუმი

**XVIII ტური**

**21 მარტი, პარასკევი**

ბათუმი-მერანი
ვიტ ჯორჯია-სიონი
ამერი-ბორჯომი
ზესტაფონი-დილა

**22 მარტი, შაბათი**

მგლები-ლოკომოტივი
დინამო-სპარტაკი
მესხეთი-ოლიმპი

**XIX ტური**

**29 მარტი, შაბათი**

დილა-ლოკომოტივი
ოლიმპი-ზესტაფონი
ბორჯომი-ვიტ ჯორჯია
მერანი-ამერი

**30 მარტი, კვირა**

სპარტაკი-ბათუმი
სიონი-მესხეთი
დინამო-მგლები

**XX ტური**

**4 აპრილი, პარასკევი**

ბათუმი-დინამო
ზესტაფონი-სიონი
ამერი-სპარტაკი
ლოკომოტივი-ოლიმპი

**5 აპრილი, შაბათი**

ვიტ ჯორჯია-მერანი
მესხეთი-ბორჯომი
მგლები-დილა

**XXI ტური**

**12 აპრილი, შაბათი**

მერანი-მესხეთი
ბათუმი-მგლები
სპარტაკი-ვიტ ჯორჯია
სიონი-ლოკომოტივი

**13 აპრილი, კვირა**

დინამო-ამერი
ოლიმპი-დილა
ბორჯომი-ზესტაფონი

**XXII ტური**

**18 აპრილი, პარასკევი**

დილა-სიონი
მესხეთი-სპარტაკი
ვიტ ჯორჯია-დინამო
ზესტაფონი-მერანი

**19 აპრილი, შაბათი**

ამერი-ბათუმი
ლოკომოტივი-ბორჯომი
მგლები-ოლიმპი

**XXIII ტური**

**25 აპრილი, პარასკევი**

ბათუმი-ვიტ ჯორჯია
სიონი-ოლიმპი
ამერი-მგლები

**26 აპრილი, შაბათი**

ბორჯომი-დილა
დინამო-მესხეთი
მერანი-ლოკომოტივი
სპარტაკი-ზესტაფონი

**XXIV ტური**

**2 მაისი, პარასკევი**

ზესტაფონი-დინამო
ვიტ ჯორჯია-ამერი
ოლიმპი-ბორჯომი

**3 მაისი, შაბათი**

მესხეთი-ბათუმი
დილა-მერანი
ლოკომოტივი-სპარტაკი
მგლები-სიონი

**XXV ტური**

**11 მაისი, კვირა**

ბორჯომი-სიონი
ვიტ ჯორჯია-მგლები
სპარტაკი-დილა
დინამო-ლოკომოტივი
მერანი-ოლიმპი
ბათუმი-ზესტაფონი
ამერი-მესხეთი

**XXVI ტური**

**18 მაისი, კვირა**

ოლიმპი-სპარტაკი
ზესტაფონი-ამერი
მგლები-ბორჯომი
ლოკომოტივი-ბათუმი
დილა-დინამო
სიონი-მერანი
მესხეთი-ვიტ ჯორჯია


დავით იმედაშვილი

ლეგიონერი

# იმედაშვილი კიევიდან სალონიკში წავიდა

**დავით იმედაშვილი** დღეს სალონიკის „პაოკში“ მივა, რამდენჯერმე ივარჯიშებს და თუ თავს მოაწონებს იქაურებს, დაიტოვებენ, - გვითხრა გუშინ ბერძნული „სპორტაიმის“ ჟურნალისტმა **ლაზაროს სუსკასმა.**

იმედაშვილი შარშანწინ გადავიდა თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ კიევის „დინამოში“, თუმცა უკრაინულ გრანდში ფეხი ვერ მოიკიდა და კიეველებმა ის ლატვიურ „ვენტსპილსში“ გაანათხოვრეს. იმედაშვილის კარიერა ბალტიისპირეთშიც ვერ აეწყო და ისევ უკრაინაში დაბრუნდა.

როგორც ჩანს, კიევის „დინამოს“ პირველ გუნდში დამკვიდრების შანსს იმედაშვილს არ აძლევენ. ჩვენებურს, რა თქმა უნდა, უთამაშებლობა არ აწყობს და თუ „პაოკში“ მოეწყობა, თვითონაც იხეირებს და კიევის „დინამოც“.

იმედაშვილს რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში - მარცხენა მცველი, მარცხენა ნახევარმცველი ან საყრდენი ნახევარმცველი.

იმედაშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, ერთხელ კი **კლაუს ტოპმიოლერმაც** ათამაშა ეროვნულ ნაკრებში ევრო 2008-ის შესარჩევში სტუმრად უკრაინასთან.

რაც შეეხება „პაოკს“, საბერძნეთის თექვსმეტგუნდა სუპერლიგაში ამ დროისთვის მე-8 ადგილზეა. „პაოკს“ პორტუგალიელი ფერნანდო სანტოსი წვრთნის და ვნახოთ, როგორ მოაწონებს მას თავს იმედაშვილი.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ☎55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# კალაძე მსოფლიო ჩემპიონატზე ოცნებობს

**გუშინ "მილანის" ვებ-გვერდზე კახა კალაძის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი არაერთ საინტერესო თემაზე საუბრობს. ინტერვიუს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**



**- როგორია განწყობა დუბაის შეკრების შემდეგ?**

- გუნდში მშვენიერი განწყობაა და რაც მთავარია, კარგ ფორმაში ვართ, რაც მეორე წრის დაწყების წინ ძალიან მნიშვნელოვანია. დუბაიში მშვენიერი ამინდები იყო და დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით.

**- მეჩეთიდან გამოსული ლოცვის ხმის ფონზე როგორ ვარჯიშობდით?**

- ნორმალურად. როცა ქვეყანაში სტუმრად ჩადიხარ, იქაურ ცხოვრების წესს პატივი უნდა სცე და შეეგუო. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია.

**- "ინტერიც" დუბაიში ემზადებოდა, ამ გუნდის წევრებთან რაიმე შეხება ხომ არ გქონიათ?**

- არა, ვარჯიშებიდან პირდაპირ სასტუმროში ვბრუნდებოდით ხოლმე და ინტერელები არ გვინახავს.

**- პატოზე რა აზრისა ხართ?**

- უნიჭიერესი ახალგაზრდაა. გუშინ პირველი შეხვედრა ჩავატარეთ და ბრწყინვალედ ითამაშა. გოლიც კი გაიტანა, რასაც სულითა და გულით ვულოცავ. პატოს უდიდესი პოტენციალი აქვს და ნამდვილად შეუძლია ისეთი დონის ფეხბურთელი გახდეს, როგორიც კაკაა. ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ჩვენ კი ყველანაირად შევუწყობთ ხელს.

**- მაინც რომელ გამოცდილ ფეხბურთელს მიმართავს ხოლმე ყველაზე ხშირად რჩევისთვის?**

- მთელი გუნდი მხარში ვუდგავართ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ იგი ყოველთვის დიდი ყურადღებით უსმენს რჩევებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ისწავლოს.

**- მილანური დერბიც გავიხსენოთ. რას ნიშნავდა "მილანისთვის" ის თამაში და რა ხდებოდა მარცხის შემდეგ?**

- ჩვენთვის ნებისმიერი მატჩი მნიშვნელოვანია. დერბი კი რა თქმა უნდა, ყოველთვის განსაკუთრებულია. სამწუხაროდ, ამჯერად დავმარცხდით. არადა, ანგარიში მიგვყავდა და მოგებაც შეგვეძლო. ახლა ჩვენთვის მთავარი, რაც შეიძლება მეტი ქულის აღებაა. ჩემპიონატში ხომ საქმე არც თუ კარგად მიგვდის. ყველანაირად ვეცდებით, ოთხეულში შევიდეთ. იმედია, ასეც იქნება.

**- გაიხსენეთ "მილანში" გადმოსვლის პერიოდი.**

- მას შემდეგ იმდენი ხანი გავიდა... ახალგაზრდა, 22 წლის ბიჭი ვიყავი. არც ენა ვიცოდი და არც აქაური კულტურა. ბიჭები ყველანაირად დამეხმარნენ. განსაკუთრებით შევჩენკო დამიდგა გვერდით, რომელიც კიევის "დინამოდან" მილანში ჩემზე ადრე გადმოვიდა და კიდევ ქართველი სელექციონერი, რომელმაც გადმოგვიყვანა "მილანში" მე და შევა. მაშინვე ენის შესწავლას შევუდექი და დაახლოებით ერთ წელიწადში უკვე ყველაფერი მესმოდა.

**- და როგორი იყო ქალაქ მილანის ნახვით მიღებული შთაბეჭდილება?**

- თავიდან მილანი საერთოდ არ მომეწონა. რალაცნაირი, რუხი ფერის მომეჩვენა, განსაკუთრებით მწვანეში ჩაფლული კიევის ფონზე. ვფიქრობდი, აქ სად მოვხვდი მეთქი. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე. მილანი საოცრად თავისებური ქალაქია. ცხოვრების აქაურ სტილს სასწაულად ეჩვევა ადამიანი.

**- კარიერის დასრულების შემდეგ მილანში დარჩენის სურვილი თუ გაქვთ?**

- ჯერ არ ვიცი. საქართველოს გარეშე ცხოვრებაც არ შემიძლია. მე ხომ იქ დავიბადე და გავიზარდე. არ შემიძლია კიევის გარეშეც, სადაც უამრავი მეგობარი მყავს და საკუთარი ბინაც მაქვს. ასე რომ, ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცევი კარიერის დასრულების შემდეგ. ჯერ მთელ ყურადღებას ფეხბურთის თამაშს ვუთმობ. მერე კი სწავლაზე გადართვას ვაპირებ.

**- რომელ სპეციალობას აირჩევთ?**

- ალბათ ბიზნესს, ინგლისში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში ვისწავლი.

**- კარიერის ყველაზე ბედნიერი მომენტი ან პერიოდი რომელი იყო?**

- ასეთი ბევრი მახსენდება. მაგალითად, მანჩესტერში მოგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

**- და ყველაზე ცუდად რას იხსენებთ?**

- ფეხბურთელისთვის წარუმატებელი პერიოდი როგორც წესი, მაშინ დგება ხოლმე, როცა ტრავმას იღებს. მანჩესტერული გამარჯვების შემდეგ ისეთი ტრავმა მივიღე, ხუთი თვე გამიცდა.

**- ახლოვდება ლონდონის "არსენალთან" გასამართი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი...**

- "არსენალი" ძლიერი გუნდია, რომელშიც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს. არსენ ვენგერის გუნდი ერთნაირად წარმატებულად გამოდის პრემიერლიგასა და ევროტურნირებზე. თუმცა ლონდონელებთან დაპირისპირებაზე ჯერ არ ვფიქრობთ. იქამდე იტალიის ჩემპიონატში გვაქვს ბევრი მნიშვნელოვანი თამაში ჩასატარებელი.

**- მინდორს გარეთ რომელ ფეხბურთელებთან ერთად ატარებთ ყველაზე მეტ დროს?**

- "მილანი" საოცრად შეკრული გუნდია, ერთი ოჯახივით ვართ. თუმცა შედარებით მეტ დროს მაინც ნესტასთან, მალდინისა და ამბროზინისთან ერთად ვატარებ.

**- მალდინი მალე საფეხბურთო კარიერას დაასრულებს...**

- პაოლო მალდინი არა მარტო იტალიური, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდაა. ჩემთვისაა საოცრად მძიმეა მისი წასვლა და წარმომიდგენია, თავად მალდინისთვის რა სამწუხარო იქნება. თუმცა შესაძლოა უკვე შეგუებულიც იყოს, დაუსრულებელი ამქვეყნად არაფერია.

**- მისი წასვლის შემდეგ ვინ გახდება "მილანის" კაპიტანი?**

- უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი ამბავია, რომ კაპიტანი ამბროზინი გახდება, ხოლო ვიცე-კაპიტანი გატუზო.

**- რა განსხვავებაა "მილანისა" და საქართველოს ნაკრების სახელით თამაშს შორის?**

- ნაკრებში კაპიტანი ვარ და ეროვნული გუნდის სახელით თამაში მართლა დიდი პატივია ჩემთვის. ამ დროს უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მთელი ქვეყანა ჩვენ გვიყურებს და ქართველი ხალხის გახარება შეგვიძლია. ვოცნებობ იმ დროზე, როცა საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა. ისე კი, სიმართლე გითხრათ, რომელი მაისურითაც უნდა ვთამაშობდე, ყოველთვის ვცდილობ, მინდორზე მაქსიმალურად დავიხარჯო.

**- არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს ნაკრებმა სენსაციურად სძლია შოტლანდიას, რითაც სკუადრა აძურას დაეხმარა.**

- სამწუხაროდ, იმ თამაშში მონაწილეობა არ მიმიღია. სახლში, ტელევიზორში ვუყურე. იმ დღეს მთელი იტალია საქართველოს ქომაგობდა. ანგარიში გაიხსნა თუ არა, ტელეფონი აწკრიალდა. იტალიიდან მილოცვებს ვერ აუუდიოდი. ის თამაში მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

**- ევრო-2008-ზე ვის უგულშემატკივრებთ?**

- იტალიას, იქ ხომ ჩემი მეგობრები თამაშობენ.

**- ბავშვობაში რომელ ნაკრებს ქომაგობდით?**

- არგენტინას. ჩემი საყვარელი ფეხბურთელი კი ყოველთვის მალდინი იყო.

**- იტალიაში ბევრს მოგზაურობთ?**

- იტალიაში სამოგზაუროდ დრო პრაქტიკულად არ მრჩება. როგორც კი კლუბიდან ვთავისუფლდები, მაშინვე ან კიევში გავრბივარ, ან საქართველოში. თუმცა აქაურობას მაინც კარგად ვიცნობ. მშვენიერი ბუნებაა, ზღვა და მთები... ხალხიც ძალიან სტუმართმოყვარეა, ქართველების მსგავსად. სამზარეულოც შესანიშნავია. მოკლედ, ბრწყინვალე ქვეყანაა.

**- სამზარეულო ახსენეთ, რომელი იტალიური კერძი მოგწონთ ყველაზე მეტად?**

- ძალიან მიყვარს სპაგეტი და თევზი.

**- ქართული კერძები არ გენატრებათ?**

- არც ისე. საქართველოში საოცრად სწრაფად ვსუქდები ხოლმე. ამიტომ ვცდილობ, თავი შევიკავო. მილანში იტალიურ და იაპონურ რესტორნებში ვჭამ ხოლმე.

**- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

- მთელ თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ. ისინი მუდამ ჩემს გვერდით არიან, ჭირშიც და ლხინშიც. კიევში რომ ჩავდივარ, ქართველი მეგობრები იქაც მსტუმრობენ ხოლმე.

**- ფეხბურთის გარდა, სპორტის სხვა სახეობა თუ გიყვართ?**

- ჩოგბურთი, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მე ვთამაშობ.

**- კინოში როდის იყავით ბოლოს და რა ფილმი ნახეთ?**

- სიმართლე გითხრათ, კინოში სიარული არ მიყვარს, ხალხმრავლობას ვერიდები. სახლის კინოთეატრი მაქვს და ფილმებსაც იქ ვუყურებ.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge



გიორგი განუგრავა

# ზესტაფონი მეკობრეობას ბრძოლას უცხადებს

„ზესტაფონის“ ხელმძღვანელობა აღშფოთებულია იმით, რომ გიორგი განუგრავას ბედს განაგებენ ისეთი პიროვნებები, რომელთაც საფეხბურთო აგენტის ლიცენზიაც კი არ გააჩნიათ და მეკობრეებთან ბრძოლას აპირებს.

გიორგი განუგრავას საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონ"-თან მოქმედი შრომითი კონტრაქტი 2007 წლის თებერვალში ენურებოდა, ფეხბურთელის გადაბირება დასავლეთ ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების კლუბებს სურდათ. და სწორედ იმ დროს, როდესაც კლუბსა და ფეხბურთელს შორის თანამშრომლობის გახანგრძლივებაზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება, როდესაც ევროპული კლუბების წინადადებებთან დაკავშირებით კონსულტაციები იმართებოდა, საქმეში "ჩაერთვნენ" ადამიანები, რომლებსაც საფეხბურთო აგენტის ლიცენზიაც კი არ გააჩნდათ. ამ ბატონებმა შეაგულიანეს ახალგაზრდა, გამოუცდელი კაცი, შეჰპირდნენ მას "ოქროს კოშკების აშენებას", რაღაც "მითიურ" კლუბებში მოწყობას და კარიერის წარმატებულ გაგრძელებას. ხოლო ამ "ზრუნვა-აქტიურობის" რეალური შედეგი კი გახლავთ ის, რომ გიორგი განუგრავა, საერთოდ უფეხბურთოდ რჩება წლისა და 2 თვის მანძილზე.

ზემოთ ვახსენეთ საშიში პრეცედენტის წარმოქმნის საშიშროება - იგი სულაც არ მდგომარეობს იმაში, რომ საფეხბურთო კლუბმა იმედისმომცემი ფეხბურთელი დაკარგა, არც იმაში, რომ გუნდმა მატერიალურად იზარალა (მითუმეტეს, რომ საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი" აუცილებლად მოითხოვს იმ კლუბისაგან, რომელიც გიორგი განუგრავას შეძენას მოისურვებს, კანონიერ კომპენსაციას). საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ფეხბურთელის ბედი ხელთ ჩაუვარდა არაპროფესიონალებს, რომელთაც ამოძრავებს მხოლოდ და მხოლოდ მერკანტილური ინტერესები. მსგავს სიტუაციაში შესაძლოა ნებისმიერი ქართული კლუბი და მისი აღზრდილი მოთამაშე აღმოჩნდეს. ქართულ ფეხბურთში, რომელიც ისედაც ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, მსგავსი ავანტიურისტების თარეში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. სწორედ ამის გამო, საფეხბურთო კლუბი "ზესტაფონი" უახლოეს მომავალში აპირებს საფეხბურთო მეკობრეებთან ბრძოლის სამართლებრივ ჭრილში გადატანას.

## მუჯირი ქრილიაში აღარ ჩანს

სამარის „კრილია სოვეტოვი“ ჯერ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ემზადებოდა, ახლა კი კურსი ესპანეთისკენ აიღო. მთავარმა მწვრთნელმა **ლეონიდ სლუცკიმ** კი „სპორტ-ექსპრესს“ განუცხადა, რომ კაპიტანი დაკარგა.

არც მეტი არც ნაკლები, დაკარგა! საუბარია ჩვენებურზე, **დავით მუჯირზე**, რომელიც პირველი შეკრების შემდეგ ორი დღით თბილისში დაბრუნდა, მაგრამ გუნდთან არარ ვარჯიშობს.

„მე ორი საკითხი მაწუხებს. კოლუმბიელების არყოფნა, რომლებიც მოსკოვში ესპანეთის ვიზას ელიან. აგრეთვე, ჩემდა სამწუხაროდ, არაფერი გვსმენია დათო მუჯირზე. დათომ გუნდთან ერთად, ემირატებში იმუშავა, ესპანურ შეკრებაზე არ ჩამოსულა. ამ დროს, საერთო ჯგუფში უნდა ევარჯიშა. მუჯირი ის ფეხბურთელია, რომელიც გასულ წელს კაპიტნად აირჩიეს და ჩვენ მისი იმედი გაგვაჩნია“.

როგორც შევიტყვეთ, დათო თბილისიდან ესპანეთისკენ გაეშურა, მაგრამ „კრილიას“ დროულად რატომ არ ჩააკითხა, უცნობი და გაუგებარია.

**მერაბ მამულაშვილი**

## სტურუა დაიწუნეს

აზერბაიჯანულ „ქარვანში“ სინჯებზე ბოლნისის „სიონის“ ყოფილი გოლკიპერი **ზვიად სტურუა** იმყოფებოდა, თუმცა მას უკან გამობრუნება მოუწია. თურქულ ბელექში ევლახის „ქარვანი“ 0:3 დამარცხდა მინსკის „დინამოსთან“. ამ მატჩის შემდეგ გუნდის თავკაცმა **იუნის ჰუსეინოვმა** გადაწყვიტა ქართველი გოლკიპერი არ აეყვანა გუნდში. საქართველოში მყოფი ზაქათალის „სიმურგი“ კი **თემურ ფურთუხიას** აკვირდება, რომელმაც პირველი წრე თბილისის „მერანში“ გაატარა.

## ლატვიას ვაკეში ვეზურთავებით?

ეროვნული სტადიონის საფარის მოყინვის გამო, შაბათს საქართველო-პორტუგალიის სარაგბო მატჩი ვაკეში, მიხეილ მესხზე გაიმართება. ამავე მიზეზით შესაძლოა ვაკეშივე გაიმართოს საქართველო-ლატვიის საფეხბურთო დაპირისპირებაც, თუმცა ეგებ ეროვნულის მოედანი 6 თებერვლამდე მომჯობინდეს და ფეხბურთელებსაც ბურთაობის საშუალება მიეცეთ.

ლეგიონერი

# გიორგი დემეტრაძე: ალბათ, უკრაინაში სამუდამოდ დავრჩები

**გიორგი დემეტრაძე კიევის „არსენალთან“ ერთად სეზონის მეორე ნაწილისთვის ემზადება. 30 წლის ქართველი ფორვარდი საკუთარი ფორმითა და გუნდის მომზადების დონით კმაყოფილია. მას „სოვეტსკი სპორტმა“ მცირე ინტერვიუ ჩამოართვა.**

- ყველაფერი კარგადაა, ჯანმრთელად ვარ და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. საკონტროლო მატჩები მაღალ დონეზე ჩავატარეთ, ყველა თამაში მოვიგეთ, მხოლოდ თბილისის „დინამოსთან“ ვითამაშეთ ფრედ, ისიც ძველი ნაცნობობის ხათრით (იცინის). ერთი ეგაა, ცოტა გოლი გამაქვს, მაგრამ სხვებს ვეხმარები გატანაში.

**- როგორ გაიხსენებთ რუსეთში გატარებულ პერიოდს?**

- კარგი იყო „ალანიაში“ თამაში... როგორ ფიქრობთ, დაბრუნდება პრემიერლიგაში?

**- არ ვიცი, თუ დემეტრაძე დაბრუნდება...**

- არა მგონია, კარიერის განმავლობაში ისედაც ბევრი კლუბი გამოვიცვალე. „არსენალი“ ურიგო გუნდი არაა, აქ თამაში მომწონს.

**- არ გაქვთ სურვილი, კარიერის ბოლოს რამე ტურნირი მოიგოთ?**

- როგორ არა, აბა ისე რა აზრი აქვს ფეხბურთის თამაშს.

**- თბილისში ხართ ჩაწერილი თუ კიევში?**

- კიევში. დიდი ხანია, რაც აქ ბინა შევიძინე. უკრაინაში ცხოვრება ძალიან მომწონს, ალბათ, აქ სამუდამოდ დავრჩები, თუმცა საქართველოს მოქალაქეობაც მაქვს. კარიერას როცა დავასრულებ, საქართველოში ალბათ, პატარა ბიზნესს წამოვიწყებ.



გიორგი დემეტრაძე



მარცხნიდან მარჯვნივ: ლადო ხარაიძე, თორნიკე ჩიხრაძე, ნიკო პატარქალიშვილი, გიორგი გოგოლაშვილი და გიორგი კიკნაძე.

# ოთხი ფეხბურთელი არგენტინაში მიდის ედუარდო დელგადოსთან პროექტი „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014

საფეხბურთო დონის ასამაღლებლად ხვიჩა მურღულიას, ვასილ აფციაურს, გიგი თარყაშვილსა და ვალერი აგაჯანოვს, არგენტინაში კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაემატებათ:

1. გოგოლაშვილი გიორგი, დაბადებული 1990 წლის 1 იანვარს. ცენტრალური მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო 10 წლისამ საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“. მისი მწვრთნელი იყო თამაზ სამხარაძე;
2. კიკნაძე გიორგი, დაბადებული 1991 წლის 22 სექტემბერს. მარჯვენა ნახევარმცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო, საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსში“ 9 წლისამ. მისი მწვრთნელი იყო რევაზ გვარაკიძე;
3. ხარაიძე ლადო, დაბადებული 1988 წლის 4 ივლისს. ცენტრალური ნახევარ მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“, ნოდარ ხიზანიშვილის მწვრთნელობით.
4. ჩიხრაძე თორნიკე, დაბადებული 1992 წლის 8 ივლისს. ნახევარმცველი. 9 წლის ასაკიდან თამაშობს ფეხბურთს. მისი მწვრთნელები იყვნენ მამუკა მურჯიკნელი და კახა ბექაური.

ამ ფეხბურთელებმა ამა წლის 23 იანვარს, მიიღეს არგენტინის ვიზები და 2 თებერვალს გაემგზავრებიან არგენტინაში.

პროექტი „Argent-Georgia“ 2010-2014 ითვალისწინებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ნაკრები გუნდების გაძლიერებას და წარმატებით მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში.

მიმდინარე წლის მარტსა და მაისში ედუარდო დელგადო კიდევ მიიწვევს ფეხბურთელებს მოსამზადებლად.

**ნიკო პატარქალიშვილი**

პროექტის „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014 ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება ვალენსიაში?

# სანი: ლამურები მოურინიოს ინვევენ

"ვალენსიაზე" ახლა ისე საუბრობენ, როგორც ყოფილ ძლიერ კლუბზე. "ლამურებს" სათვალავში ფაქტობრივად, აღარავინ აგდებს. ამ ყველაფრის მიზეზი, რა თქმა უნდა, გუნდის მიერ ნაჩვენები კატასროფული შედეგებია. თავად განსაჯეთ, ბოლო 10 შეხვედრაში "ვალენსიამ" მხოლოდ ორი გოლის გატანა შეძლო. **კიკე სანჩეს ფლორესის** გათავისუფლებისა და **რონალდ კუმანის** დანიშვნის შემდეგ ხელმძღვანელობა გულშემატკივრებს სამოთხეს პირდებოდა, თუმცა რეალობა ჯოჯოხეთზე უფრო მტანჯველი აღმოჩნდა. "მესტალიაზე" სამთვიანი მუშაობის შემდეგ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ხალხს შეძულებული ფლორესიც კი მონატრა. შესაძლოა, ბევრისთვის დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ იმ წამიდან მოყოლებული, რაც კუმანი მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, "ვალენსია" პრიმერა დივიზიონის ყველაზე ცუდ კლუბად იქცა. ჰოლანდიელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ლამურებმა ესპანეთის ჩემპიონატში 10 შეხვედრა ჩაატარეს და 30 შესაძლებლიდან მხოლოდ 6 ქულა მოიპოვეს. ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ამ გუნდს ზედიზედ 9 ტური არ მოუგია. კიდევ ერთი შემაძრწუნებელი ფაქტი. ამ 10 ტურის განმავლობაში "ვალენსიამ" მშობლიურ "მესტალიაზე" უფრო ცოტა გოლი გაიტანა, ვიდრე პრიმერა დივიზიონის წყალწაღებულმა "ლევანტემ". როგორც ხედავთ, შედეგები მართაც კატასტროფულია. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ პრესაში რონალდ კუმანის მოსალოდნელი გადაყენების შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა დაიწყო. სხვათაშორის, ესპანურ გაზეთებს ინგლისური გამოცემები არ ჩამორჩნენ. ბრიტანულ მედიაში ძალიან საინტერესო ინფორმაცია დაიწერა...

## მოურინიო მესტალიაზე?

გუშინდელ "სანში" ვკითხულობთ: *"ვალენსიას" ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული და მომთხოვნი გულშემატკივრები ჰყავს. რონალდ კუმანის მუშაობით ისინი ძალიან უკმაყოფილოები არიან. ხელმძღვანელობა იძულებულია, ხალხის ხმა შეისმინოს და მათი ნება აღასრულოს. შესაძლოა, მათთვის ეს წამგებიანი იყოს, მაგრამ კუმანს უახლოეს მომავალში თანამდებობიდან გადააყენებენ. ჩვენ დაზუსტებით ვიცით, რომ ესპანური კლუბის ემისარი ჟოზე მოურინიოს შეხვდა და "ვალენსიის" გაძღოლა შეთავაზა. მწვრთნელის შეცვლა გარდაუვალია, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაუზუსტებელია, როდის მოხდება ეს. იმ შემთხვევაში, თუ ვალენსიელები "ატლეტიკოსთან" განმეორებით სათასო პაექრობას წააგებენ და "ვალიადოლიდთან" გასვლით შეხვედრაშიც დამარცხდებიან, ჰოლანდიელს დაუყოვნებლივ გააძევებენ. მის ნაცვლად კი ჟოზე მოურინიოს დანიშნავენ."*

## ნუთუ სანის ინფორმაცია მხოლოდ ჭორია?!

დაგვეთანხმებით, სტატიის დასაწყისში საკმარისზე მეტი მიზეზი ჩამოვთვალეთ იმისთვის, რომ ადამიანმა "ვალენსიის" თამაშით უკმაყოფილება გამოხატოს. მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი ამ გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. "სანის" პუბლიკაციაც შესაბამის დროს გამოქვეყნდა. როგორც მოგახსენეთ, კუმანის გადაყენებას ესპანური მედიაც წინასწარმეტყველებს. მაგალითისთვის მოგახსენებთ, რომ "დიარიო მარკა" და "დიარიო ასი" ჰოლანდიელის წასვლას 10 დღის ვადაში ელიან. პრესისა და ფაქტების შეუვალობის მიუხედავად, "ვალენსიის" ოფიციალური პირები საზოგადოების წინაშე გარეგნულ სიმშვიდეს გამოხატავენ და გულშემატკივრებს სრულიად მოულოდნელი განცხადებით მიმართავენ. გუშინ "ლამურების" სპორტულმა დირექტორმა **რაფაელ სალომმა** საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და ასეთი რამ თქვა: *"სამწუხაროდ, ჩვენ კიდევ ერთხელ ვხდებით პრესის სპეკულაციების მსხვერპლი. ის სტატიები, რომლებიც პრესის ფურცლებზე იბეჭდება, გუნდზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ხელმძღვანელობა რანალდ კუმანის გათავისუფლების საკითხს საერთოდ არ განიხილავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჰოლანდიელ სპეციალისტს 100 პროცენტით ვენდობით. ისიც ტყუილია, თითქოს მას ულტიმატუმი წავუყენეთ და ვუთხარით, თუ მომდევნო შეხვედრებში მაქსიმალურ შედეგებს არ მიაღწევ, სამსახურიდან გაგიშვებთქო. რა თქმა უნდა, წლევანდელი სეზონის შედეგებით ძალიან უკმაყოფილოები ვართ, მაგრამ ფეხბურთში მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული ადამიანი მიხვდება, რომ კუმანს ამაში ყველაზე ნაკლები დანაშაული მიუძღვის. თავს უფლებას მივცემ, შეგახსენოთ, სენიორ რონალდმა პრობლემებით დახუნძლული კლუბი ჩაიბარა. მუშაობის პროცესში ის მანამდე უხილავ უამრავ სირთულეს გადაეყარა. ჩვენ "ვალენსიის" დირექტორატის წევრები საკუთარი თვალით ვხედავთ, რომ ჰოლანდიელი გულმოდგინედ მუშაობს. არ შეიძლება ადამიანი წნეხში ვამყოფოთ. ახლა კუმანის გინება და ლანძღვა ყველაზე ადვილი საქმეა, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ საქმე ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ საფეხბურთო სპეციალისტთან გვაქვს. მოკლედ, სენიორ რონალდი ჩვენთან რჩება. გვჯერა, რომ დროთა განმავლობაში სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდება და მომავალი სეზონიდან "ვალენსია" ჩვეულ სახეს დაიბრუნებს."*



ჟოზე მოურინიო

## კუმანი: შემწევს იმის ძალა, რომ გუნდი კრიზისიდან გამოვიყვანო

გუშინ ესპანური მედიის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე "ვალენსიის" ოფისში მთავარი მწვრთნელის საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართა. კუმანს ჟურნალისტებთან შეხვედრა სასტიკად არ სურდა, მაგრამ პრეზიდენტმა **ხუან ბაუტისტა სოლერმა** გააცნობიერა, რომ მისი გუნდისადმი საზოგადოების ინტერესი არნახულად დიდია. ამ პირობებში კი სირაქლემის პოზიციის დაკავება ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავდა. ერთი სიტყვით, სენიორ სოლერმა მწვრთნელს თხოვა, ჟურნალისტებს შეხვედროდა და მათთვის პრესკონფერენცია გაემართა. ჰოლანდიელმა კორესპონდენტები პირველივე კითხვაზე პასუხის გაცემისას გააოგნა: *"მოდით, ამთავითვე შევთანხმდეთ, რომ ერთმანეთს დაძაბულად და ნიშნისმოგებით არ ვესაუბროთ. თქვენ მეკითხებით, როგორ ვგრძნობ თავს და ვაპირებ თუ არა თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომას. მე გპასუხობთ, ძალიან სევდიან განწყობაზე ვარ, მაგრამ წასვლას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ. არ მსურს, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენის შემრცხვეს. არც ის მინდა, ხალხში იმპოტენტის იმიჯით ვისარგებლო. შემწევს იმის ძალა, რომ ფარ-ხმალი არ დავყარო და გუნდი კრიზისიდან გამოვიყვანო. ასე რომ, არსად წასვლასაც არ ვაპირებ. ვაგრძელებ მუშაობას, რათა ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ავანსები გავამართლო."*

ჟურნალისტები ამის შემდეგ იმით დაინტერესდნენ, თუ რამდენად გულწრფელი იყო "ვალენსიის" სპორტული დირექტორი, როდესაც აცხადებდა, რომ მწვრთნელისთვის ულტიმატუმი არ წაუყენებიათ. კუმანმა ულტიმატუმის ფაქტი არ დაადასტურა: *"ის, რაც იბეჭდება, სისულელე და ტყუილია. ერთადერთი, იმას ვერ უარვყოფ, რომ ჩემი გუნდი ახლა არასახარბიელოდ გამოიყურება. ამას, რა თქმა უნდა, დირექტორებიც აღნიშნავენ, მაგრამ ჩემთვის ულტიმატუმი არავის წამოუყენებია. სიმართლე გითხრათ, პრესის შემოტევებმა იმდენად მომაბეზრა თავი, რომ აგერ უკვე სამი კვირაა, რაც გაზეთებს საერთოდ აღარ ვკითხულობ. შესაძლოა, გეწყინოთ, თუმცა თავს ვალდებულად ვთვლი, გულწრფელად ვთქვა, რომ ჟურნალისტების ფსიქოლოგიის არ მესმის. ვერ ვხვდები, როგორ ხდება, როცა ულტიმატუმი არავის წამოუყენებია, მაგრამ წამყვანი გაზეთების პირველ გვერდებზე იწერება, რონალდ კუმანს 10-დღიანი ვადა მისცესო. თქვენი ნებაა, შეგიძლიათ ის დაბეჭდოთ, რასაც თავად მოისურვებთ, მაგრამ შემდეგ ნუ გწყინთ, თუ სისულელესა და ტყუილს არ დაგეთანხმები."*

შეურაცხყოფილმა ჟურნალისტებმა არც აციეს, არც აცხელეს და ჰოლანდიელს მაგიდაზე "სანი" დაუდეს. "ლამურების" დამრიგებელი აშკარად შეცბა, მაგრამ შეეცადა, კორექტულობის ფარგლებს არ გასცდენოდა: *"არ ვიცი, ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ. პრინციპში, გაზეთი გაზეთია და რა მნიშვნელობა აქვს, ის ესპანური იქნება, თუ ინგლისური? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, "ვალენსიის" ხელმძღვანელობას გადაკვრითაც არ უთქვამს, რომ არ მენდობიან, ან ჩემს გაშვებას აპირებენ. ასე რომ, შეგიძლიათ მერწმუნოთ. კლუბში ჩემი მდგომარეობა არ მაღელვებს. დანარჩენი კი არ მეხება. შესძლოა, "სანის" რომელიმე კორესპონდენტს მასალა შემოაკლდა, ირგვლივ მიმოიხედა და სამუშაო შეიქმნა."*

"დიარიო ასის" კორესპონდენდი **ხესუს სანჩო** დაინტერესდა, ბატონი რონალდი გამოსავალს რაში ხედავს. ჩვენმა კოლეგამ კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო: *"ფეხბურთს ერთი კარგი თვისება აქვს. შეიძლება დღეს ლანძღვა-გინებით მიწასთან გაგასწორონ, მაგრამ სამი დღის შემდეგ გენიალურად ითამაშო და იგივე ადამიანებმა ხოტბა შეგასხან. გამოსავალს სწორედ ამაში ვხედავ, ჩვენ თამაშის ხარისხს გამოვასწორებთ და საზოგადოების კეთილგანწყობას დავიმსახურებთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელები პრესის მიერ ატეხილი აჟიოტაჟის გამო ფსიქოლოგიურ წნეხში არ მოექცნენ. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მომიწევს, რადგან ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან და დიდია საფრთხე, ნერვები ვერ მოთოკონ."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

მანჩესტერ სიტი. ტრანსფერები

# სამი ბრაზილიელი მოსკოვიდან

### ვაგნერს არსენალიც ეპატიჟება...



სვენ გორან ერიქსონს დიდი გეგმები აქვს

"მანჩესტერ სიტი" ცსკასთან მოლაპარაკებებს მართავს. ინგლისურ კლუბს მოსკოველთა სამი ფეხბურთელის შეძენა უნდა. **სვენ გორან ერიქსონი ჟო ალვეშით, დანიელ კარვალიოთი და ვაგნერ ლავით** დაინტერესდა. "სიტი" მზადაა, არმიელებს 20 მილიონი გირვანქა მიუთვალოს. ვაგნერი უპირველესი სამიზნეა. კლუბები ამ ფეხბურთელზე სასაუბროდ შეხვდნენ. შემდეგ დღის წესრიგში სხვების საკითხიც დადგა. გავლენიანი აგენტი **პინი ზაჰავი** მზადაა, ცსკასთან იშუამდგომლოს. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ორი დღე რჩება. თუ ბრაზილიელებს პრემიერლიგაში თამაში უნდათ, ვიზების თაობაზე ბრიტანეთის შრომის სამინისტროს დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ. ჟოსა და კარვალიოს სამუშაო ვიზების მიღება გაუჭირდებათ. ისინი ბრაზილიის ნაკრებში რეგულარულად არ თამაშობენ. ჟომ პენტაკამპეონებს საერთოდ ზურგი შეაქცია. მან თქვა, რომ კარლოს დუნგას გუნდში აღარასოდეს ითამაშებს. **ვაგნერ ლავმა** ინგლისში მუშაობის უფლება უპრობლემოდ უნდა მოიპოვოს. კლუბებს მოსალოდნელ ტრანსფერთან ან ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაუკეთებიათ.

ვაგნერს სხვა სარფიანი შეთავაზებებიც აქვს. მას "არსენალი", "ატლეტიკო", "სევილია" და "ინტერი" ეპატიჟებიან. ფეხბურთელს არმიელებთან უთანხმოება ჰქონდა. გასული წლის მიწურულს მას ახალი კონტრაქტი გაუფორმეს. ვაგნერს დაპირდნენ, რომ თუ რომელიმე ევროპული კლუბი მიიწვევდა, დაუყოვნებლივ გაუშვებდნენ. რუსეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ცსკამ ვაგნერის გაყიდვაზე უარი განაცხადა. ფეხბურთელი სამშობლოში გაემგზავრა. მას მოსკოვში დაბრუნება აღარ სურდა. მხარეები მაინც შეთანხმდნენ: თუ ვაგნერს მომდევნო 48 საათში იყიდიან, ცსკა ტრანსფერს ხელს არ შეუშლის. თუ არადა, ფეხბურთელი ზაფხულამდე დარჩება. "არსენალი" სწორედ ზაფხულში აპირებს მოლაპარაკებათა გამართვას. "მირორის" ცნობით, "მეთოფეები" 10 მილიონ ევროს გადაიხდიან, ცსკა ვაგნერს ორჯერ ძვირად აფასებს.

დავუბრუნდეთ "მანჩესტერ სიტის". მისი ამბიციები მხოლოდ მოსკოველი ბრაზილიელებით არ ამოიწურება. "სიტიმ" სარაგოსელ თავდამსხმელ **დიეგო მილიტოს** დაადგა თვალი. ესპანელი მიმომხილველების ვარაუდით, სეზონის ბოლომდე მილიტო არაგონიაში დარჩება. "სარაგოსა" მას 18 მილიონ ევროდ აფასებს. და აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც მანჩესტერულ კლუბს ეხება: "სიტის" ბერძენი თავდამსხმელი **გიორგიოს სამარასი** არა "რეინჯერსში", არამედ "სელტიკში" ჩაირიცხა. "რაინჯერსთან" შეთანხმება მიღწეული იყო. პროტესტანტები 2.75 მილიონ გირვანქა იხდიდნენ, მაგრამ ბოლო წამს სამარასმა "სელტიკთან" ექვსთვიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. სეზონის ბოლოს "სელტიკი" მის შეძენაზე იფიქრებს.

ინტერვიუ ლუკა ტონისთან

# მიხარია, რომ კლინსმანი შემტევი სტილის მიმდევარია

## იტალიელს კლინსის მოსვლა ახარებს, მაგრამ 1 ივლისამდე მხოლოდ ჰიტცფელდზე ფიქრობს...



გერმანიის ჩემპიონობა, უეფას თასი, გერმანიის თასი, ევროპის ჩემპიონობა - ლუკა ტონი 4 ტიტულს უმიზნებს

„ბაიერნისა“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელ ლუკა ტონის მიმდინარე სეზონში პირველი ტიტული უკვე ჯიბეში აქვს: იტალიელმა ჟურნალისტებმა 30 წლის ფორვარდი იტალიური სტილის საუკეთესო წარმომადგენლად, იტალიური მოდის იდეალურ მიმდევრად და უბრალოდ კარგი გემოვნების მქონე პიროვნებად დაასახელეს. თუმცა ტონი ამით დაკმაყოფილებას არ პირებს. ამ სეზონში მას საკმაოდ ბევრი მიზანი აქვს: გერმანიის ჩემპიონობა, უეფას და გერმანიის თასების მოგება და რაღა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონობა. ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს „ბილდის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.

**- ლუკა ტონი, მარბელიური შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, ოტმარ ჰიტცფელდმა განაცხადა, იდეალურად მოვემზადეთ და შესანიშნავ ფორმაში ვართო. მაგრამ „მიუნხენ 1860-თან“ შეხვედრაში (1:1) ვერაფერი დაამტკიცეთ. გუნდი ცუდ ფორმაშია?**

- ეს მხოლოდ ტესტ-მატჩი იყო და შესაბამისად, სერიოზულ ყურადღებას არ იმსახურებს. ეს შეხვედრა „მიუნხენ 1860-სთვის“ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩვენთვის. ჰო, ვერ ვიტყვი, რომ იდეალურ ფორმაში ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მეორე წრეს კარგად მომზადებულები შევხვდებით. დასაკარგი დრო აღარ გვაქვს.

**- ისევ საუბრობენ იმის შესახებ, რომ „ბაიერნს“ ფლეიმეიქერი არ ჰყავს, რომელიც თავდამსხმელებს მოედნის ცენტრიდან პასებით მოამარაგებს...**

- გააჩნია, რა ტაქტიკით თამაშობს გუნდი. პირველ წრეში ჩვენი ტაქტიკა ტიპიური 4-4-2 იყო და ასეთ დროს კლასიკური გამთამაშებელი საჭირო არც არის. დღესდღეობით ყველაფერი კარგადაა, ასე რომ, რამდენადაც ვიცი, ტაქტიკის შეცვლას არ ვაპირებთ. ესეც არ იყოს, ამ როლის შესრულება ფრანკ რიბერის ნებისმიერ დროს შეუძლია, მაგრამ...

**- მაგრამ?**

- უკვე ცხადია, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ. ჰოდა, თუ გვინდა, რომ ევროპის ელიტარულ ლიგაში არ შევრცხვეთ და თავი კარგად წარმოვაჩინოთ, მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ, გაძლიერება დაგვჭირდება.

**- გიხარიათ თუ არა ის, რომ მომავალი სეზონიდან „ბაიერნს“ იურგენ კლინსმანი უთავკაცებს?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია. კლინსმანი უდიდესი ფეხბურთელი იყო, იტალიაშიც კი დღემდე ძალიან პოპულარულია. კლინსი კარზე დაგეშილი ფორვარდი იყო და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მწვრთნელები, რომელიც თავის დროზე წარმატებული თავდამსხმელები იყვნენ, მუდმივად შემტევ სტილს ირჩევენ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, რომ კლინსმანის სტრატეგია შემტევი და ლაღი ფეხბურთი იქნება. ეს კი ძალიან მიხარია, რადგან მეც თავდამსხმელი ვარ. ეს არის და ეს, ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი.

**- რატომ?**

- პირველ რიგში იმიტომ, რომ ოტმარ ჰიტცფელდს უდიდეს პატივს ვცემ. ესეც არ იყოს, ახლა ჩვენ მხოლოდ ამ სეზონზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულები და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ყველა ფრონტი მოვიგოთ. კლინსმანი კი, მთავარი თემა 1 ივლისიდან გახდება.

**- რატომ გგონიათ, რომ „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი გახდება?**

- იმიტომ, რომ სხვაგვარად წარმოუდგენელია. იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ პირველ ადგილზე გასვლა დაგვაკმაყოფილებს. დააკვირდით, სხვა გუნდები ხშირად მეორე და მესამე ადგილითაც კმაყოფილდებიან ხოლმე, მათთვის წაგება იმდენად მძიმე არ არის, რამდენადაც „ბაიერნისთვის“. ამით კონკურენტების დაკნინება როდი მსურს – „ვერდერი“ და „შალკე“ სერიოზული მეტოქეები არიან. ამ გუნდებმა პირველ წრეში ქულები დაკარგეს, მაგრამ ეს იმის ბრალიც იყო, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდნენ. ეს განსაკუთრებით „შალკეზე“ ითქმის. გელზენკირხენელები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდნენ და მხოლოდ ბუნდესლიგაზე კონცენტრირება ჯერჯერობით ისევ გაუჭირდებათ.

**- სეზონის პირველ ნახევარში „ბაიერნის“ მაისურით ჯამში 17 გოლი გაიტანეთ, იტალიის ნაკრებს კი 5 გოლით შეეწიეთ. მეორე წრეში უკეთესი მაჩვენებელი გექნებათ?**

- ბომბარდირობის თვალსაზრისით კონკრეტულ მიზნებს არასდროს ვისახავ ხოლმე, ამრიგად, ვერ ვიტყვი, რომ ამდენი და ამდენი გოლის გატანა მინდა. ისე კი, ცხადია, ჩემი მიზანი ის არის, რომ მაჩვენებელი გავაუმჯობესო.

**- თქვენმა მეწყვილემ, მიროსლავ კლოზემ განაცხადა, კარგი იქნება, თუ ტონი სისწრაფეში მოუმატებსო...**

- (იცინის) თვითონ მირო საკმაოდ სწრაფია და ეს ჩვენი თავდასხმისთვის საკმარისია, თანაც, ძალიან კარგ პასებს მაძლევს ხოლმე...

გოტფრიდ ლენცი



არაგონესი სესკ ფაბრეგასს გუტიზე მაღლა აყენებს

ესპანეთის ნაკრები

# არაგონესი: ფაბრეგასი გუტის ორი თავით ჯობია

## სელექსიონის დამრიგებელი დიარიო მარკას პროვოკაციას არ წამოეგო

**"დიარიო მარკა" თავისას არ იშლის და ლუის არაგონესთან ფარულ ომს აწარმოებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუტის დასანახავად ვერ იტანს. უკვე დიდი ხანია, რაც "რეალის" ნახევარმცველს ეროვნული გუნდის კარი დაუხურეს. სიტუაციას ყველა შეგუებული იყო და პროტესტსაც არავინ გამოთქვამდა, მაგრამ "დიარიო მარკამ" სრულიად პროვოკაციულად მივიწყებული თემა ამოატივტივა. მადრიდულმა გამოცემამ ელექტრონული გვერდის მეშვეობით გამოკითხვა მოაწყო და გაირკვა, რომ 100 ათასი ადამიანიდან 75 ათასი გუტის "სელექსიონში" სასწრაფოდ დაბრუნებას მოითხოვს.**

ბუნებრივია, ასეთი მასშტაბური გამოკითხვის შედეგის გამოქვეყნების შემდეგ **არაგონესი** ვალდებული გახდა, საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა. ხუმრობა ხომ არ არის, როცა 75 ათასი ადამიანი შენგან ფეხბურთელის გამოძახებას ითხოვს. ამასთან, სავარაუდოა, რომ **გუტის** მომხრეთა რაოდენობა გაცილებით მეტია. მათ უბრალოდ გამოკითხვაში არ მიუღიათ მონაწილეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, არაგონესი ოდნავადაც არ შეცბა და საკუთარი პოზიცია დაიცვა : *"ხალხის აზრს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შედეგებზე გამოკითხვაში მონაწილე ადამიანები პასუხს არ აგებენ. ერთადერთი პასუხისმგებელი მე ვარ. თუ ავსტრიასა და შვეიცარიაში კარგად ვერ ვიასპარეზებთ და ტურნირს ადრეულად გამოვეთიშებით, რა თქმა უნდა, მე დამადანაშაულებენ და ეს 75 ათასი ადამიანი არავის გაახსენდება. დარწმუნებული ვარ, კრიტიკოსთა შორის სწორედ გამოკითხულები იქნებიან. გუტი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ის ბიჭები, რომლებსაც ნაკრებში მის ნაცვლად ვიძახებ, გაცილებით უკეთესები არიან. იქნებ ვინმემ მითხრას, რატომ უნდა ვთქვა ძლიერზე უარი უფრო სუსტის სასარგებლოდ?"*

საზოგადოებისთვის უფრო გასარკვევი რომ ყოფილიყო, "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა არაგონესს კითხა, გუტიზე უკეთეს ფეხბურთელად ვის მიიჩნევს. მწვრთნელს პასუხის გასაცემად დიდხანს არ უფიქრია: *"სესკ ფაბრეგასს. ისინი აბსოლუტურად ერთი ამპლუის მოთამაშენი არიან. აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, რომ სესკი ესპანეთის ეროვნულ გუნდს ბევრად უფრო გამოადგება. მე მთავარი მწვრთნელი ვარ და შემადგენლობას ერთპიროვნულად ვაკომპლექტებ. "დიარიო მარკას" გამოკითხვის მიზანი და არსი ზოგადად სრულიად გაუგებარია, მაგრამ ჩემთვის ყველაფერი ნათელია. ისინი ღიად მიპირისპირდებიან და შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ, კბილი გამკრან. კეთილი, მე ვიღებ ამ გამოწვევას და ისე ვმოქმედებ, როგორც პროფესიონალი. მსურს, 75 ათას ადამიანს მოკითხვა შევუთვალო და სრულიად გულწრფელად ვუთხრა, რომ ისინი ძალიან ძვირფასები არიან ჩემთვის, მაგრამ თხოვნას ვერაფრით ავუსრულებ. თუ რატომ, უკვე ვისაუბრე."*

სენიორ ლუისს ჩვენი კოლეგები თავს არ ანებებდნენ და ცდილობდნენ, რესპონდენტი იძულებული გაეხადათ, რომ გუტის ნაკრებში გამოუძახებლობა შეცდომად ეღიარებინა. ამ მიზნით მათ იკითხეს, კი მაგრამ სესკმა ტრავმა რომ მიიღოს, მერე რა გვეშველებაო? ასაკოვანმა მწვრთნელმა გუტი კიდევ უფრო დაამცირა: *"როგორ გგონიათ, ამ საკითხზე თქვენ ფიქრობთ და მე არა? რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონაზე იმის იმედით არ წავალ, რომ სესკი ტრავმას არ დისკვალიფიკაციას არ მიიღებს. მაქსიმალურად დავიზღვევ თავს. ამ ეტაპზე ფაბრეგასის პოტენციურ შემცვლელად დავიდ სილვას მოვიაზრებ. ნუ გეწყინებათ, მაგრამ ისიც გუტიზე მეტად მომწონს. ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში სხვადასხვა მონახაზსა და შესაძლებლობას შევისწავლი. მოკლედ, შეგიძლიათ, არ ინერვიულოთ. "სელექსიონი" კონტინენტის პირველობაზე მაქსიმალურად მომზადებული გაემგზავრება."*

პრესკონფერენცია ისე როგორ დასრულდებოდა, არაგონესისთვის **რაულზე** არ ეკითხათ. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, გონსალეს ბლანკოს ხსენებამ "სელექსიონის" დამრიგებელი უკიდურესად განარისხა: *"ჰეი თქვენ, ნუთუ არ მოგბეზრდათ ამდენი ყბედობა? რაულის შესახებ დღეს არ ვისაუბრებ. ამ თემაზე ძალიან ბევრი ვილაპარაკე. ყველას ვთხოვ, პასუხისმგებლობა მოიკრიბოს და გააცნობიეროს, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ესპანეთის ნაკრებს სიმშვიდე სჭირდება. ასეთი გამოკითხვებით, პრესინგითა და უაზრო იერიშებით კი "სელექსიონს" მუდმივი წნეხის რეჟიმში ამყოფებთ. განა არ გაღელვებთ ქვეყნის უმთავრესი საფეხბურთო გუნდის ბედი?"*

მასალა დასაბეჭდად მზად იყო, როცა "დიარიო მარკამ" გუტის მიერ "რადიო მარკასთვის" მიცემული ინტერვიუს ფრაგმენტები გამოაქვეყნა. საუბარი მრავალ თემას შეეხო - დაწყებული "მურსიასთან" მატჩში ხულიგნობისთვის მიღებული ყვითელი ბარათით და დასრულებული **ბერნდ შუსტერის** სტრატეგიული მსოფლმხედველობით... მაგრამ ყველაზე საინტერესო მისი ერთი განცხადებაა: *"ნაკრებში თამაშის სურვილს სხეულით ვატარებ. თითქოს გულში რაღაც ხიჭვი მაქვს შესობილი, რომელიც მუდმივად მახსენებს, რომ "სელექსიონი" უძვირფასესია ჩემთვის. გულწრფელად ვიტყვი, ჯერაც არ დამიკარგავს იმის იმედი, რომ ევროპის ჩემპიონატზე" ვიასპარეზებ."*

ალსანიშნავია, გუტიმ ეს სიტყვები მას შემდეგ თქვა, რაც უკლებლივ ყველა ესპანურ გაზეთში ლუის არაგონესის პრესკონფერენციის ფრაგმენტები გამოქვეყნდა.

### ირლანდიას დევისი ჩაიბარებს?

"დერბის" ყოფილი თავკაცი **ბილი დევისი**, შეიძლება, ირლანდიის ნაკრებში დაინიშნოს. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, ის ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლებს ხვდება და მომავალი თანამშრომლობის დეტალებზე მსჯელობს. ქვეყნის ნაკრებს სამი თვეა, მწვრთნელი არ ჰყავს. სტივ სტონტონი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ნაჩვენები ულიმღამო შედეგების გამო დაითხოვეს. ზოგიერთი სააგენტო ფავორიტად ინგლისის ნაკრების ყოფილ დამრიგებელ **ტერი ვენეიბლზს** ასახელებს. ვენეიბლზის ბოლო სამუშაო ინგლისის ეროვნული გუნდის მეორე მწვრთნელობა იყო. ის **სტივ მაკლარენის** ასისტენტი გახლდათ. 6 თებერვალს ირლანდია ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. შეხვედრას დუბლინის "კროუკ პარკი" უმასპინძლებს. ახალგაზრდული გუნდის თავკაცი **დონ გივენსი** მზადაა, ამ შეხვედრაში ეროვნულ ნაკრებს გაუძღვეს. ასოციაცია ყველაფერს ილონებს უახლოეს დღეებში ახალი მწვრთნელის დასანიშნად. მკითხველს შევახსენებთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში ირლანდია საქართველოს მეტოქე იქნება.

### გარაი, რასინგიდან ლიონში

"ლიონი" სანტანდერის "რასინგის" მცველ **ესეკიელ გარაის** ეპატიჟება. ესპანელებთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია. საფრანგეთის ჩემპიონები 10 მილიონ ევროს იხდიან. "რასინგი" 5 მილიონით მეტს ითხოვდა, მაგრამ როგორც ჩანს, "ლიონის" წინადადებას დათანხმდება. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 48 საათია დარჩენილი. გარიგებასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

### სკალონიმ მალიორკას მიაშურა

"მალიორკა" "ლაციოს" გაურიგდა. ესპანურმა კლუბმა არგენტინელ ნახევარმცველ **ლიონელ სკალონის** საიჯარო ხელშეკრულება გაუფორმა. ის რომაელთა საკუთრებაა, მაგრამ მომდევნო 18 თვეს ბალეარის კუნძულებზე გაატარებს. სკალონი რომში გასულ ზაფხულს, სანტანდერის "რასინგიდან" გადავიდა. მან "ბიანკოჩელესტეს" შემადგენლობაში ათი მატჩი ჩაატარა და ერთი გოლიც კი ვერ შეაგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული. ტრანსფერები

# მასკერანო უნდა დარჩეს

## ტურინელებს სისოკო 8.2 მილიონი დაუჯდათ...

"ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი** დარწმუნებულია, რომ **ხავიერ მასკერანო** "ენფილდზე" დარჩება. დღეს მერსისაიდელები არგენტინელის ყოფილ კლუბ "ვესტ ჰემს" ეთამაშებიან. მასკერანოს ინგლისური კარიერა "აპტონ პარკზე" დაიწყო, თუმცა მისმა ტრანსფერმა "ჩაქუჩებს" კინაღამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ის საქმე ყველასათვის მშვიდობიანად დასრულდა, თუ მშვიდობიანი შეიძლება დაერქვას "ვესტ ჰემისათვის" დაკისრებულ უპრეცედენტო სანქციას. შეგახსენებთ, "ჩაქუჩები" 5 მილიონი გირვანქით დააჯარიმეს. ლონდონელებს მასკერანოსა და **კარლოს ტევესზე** უარის თქმა მოუხდათ. ტევესი "მანჩესტერ იუნაიტედში" გაიყიდა. მასკერანომ ერთწლიანი იჯარით "ლივერპულს" მიაშურა. მის სატრანსფერო უფლებებს ისევ **კია ჯურაბჩიანი** ფლობს. ხავიერის გამოსყიდვისათვის 17 მილიონი გირვანქაა საჭირო.

გუშინ "ლივერპულმა" **მომო სისოკოს** "იუვენტუსში" ტრანსფერი სრულყო. მერსისაიდელები 8.2 მილიონ გირვანქას მიიღებენ. ბენიტესი სწორედ ამ თანხით აპირებს მასკერანოს საკითხის გადაჭრას. საქმე უმოკლეს დროში უნდა მოგვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხავიერი ახალ სამსახურს მონახავს. მას "იუვენტუსი" ეპატიჟება. ტურინელებს იმედი აქვთ, რომ მასკერანოს სეზონის დასრულებისთანავე ჩაიგდებენ ხელში. აქვე, სისოკოს ტრანსფერის ზოგიერთ დეტალზე შევჩერდებით. თანხა ზემოთ უკვე ვახსენეთ. მომო მალის ნაკრებთან ერთად აფრიკის ერთა თასზე იმყოფება, მაგრამ როცა მისი ტრანსფერის საკითხი გადაწყდა, ერთი დღით იტალიაში გადაფრინდა, რათა სამედიცინო შემოწმება გაევლო. სისოკო "ლივერპულში" 2005 წელს, "ვალენსიიდან" გადავიდა. ამ ხნის განმავლობაში მან 86 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი შეაგდო.



ხავიერ მასკერანო

ნიუკასლი

# უაიზი ტრანსფერებს გაუძღვება

მოგეხსენებათ, **დენის უაიზი** "ნიუკასლის" მეორე მწვრთნელად დაინიშნა. ის **კევინ კიგანის** მარჯვენა ხელი იქნება და ტრანსფერებზე იზრუნებს. ამიერიდან, ამა თუ იმ ფეხბურთელის შეძენისას გადამწყვეტ სიტყვას უაიზი იტყვის. კიგანი მას ბოლომდე ენდობა. დენისი შეეცდება, მთავარ ყველა ის საზრუნავი ჩამოაშოროს, რაც უშუალოდ გუნდის მომზადებას არ ეხება.

აქვე გეტყვით, რომ "ნიუკასლის" მფლობელ **მაიკ ეშლის ობა მარტინსთან** ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს. ნიგერიელი თავდამსხმელი მისი ფავორიტია. ეშლი მზადაა, ფეხბურთელს 2013 შესთავაზოს თანამშრომლობა და ამ ხნის განმავლობაში 20 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. მარტინსი სენტ ჯეიმს პარკზე 2006 წელს ინტერიდან გადავიდა. მის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ფეხბურთელს კვირაში 60 ათას გირვანქას უხდიან. ახალი კონტრაქტის ხელმოწერის შემთხვევაში, ობაფემის შემოსავალი 90 ათას გირვანქამდე (!) გაიზრდება.



კრისტიანო რონალდო

მანჩესტერ იუნაიტედი

# სარფიანი შეთავაზება კრისტიანოს

## ევრამ იუნაიტედის ხელმძღვანელები გააოგნა...

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა **სერ ალექს ფერგიუსონმა კრისტიანო რონალდოს** სარფიანი გარიგება აღუთქვა: თუ ის მიმდინარე სეზონში 30 გოლს გაიტანს, ხელფასს მოუმატებს. პორტუგალიელმა ყველა ტურნირზე უკვე 25 გოლი შეაგდო (მათ შორის, დუბლი "ტოტენჰემთან" სათასო მატჩში). დარჩენილი ოთხი თვის განმავლობაში მისთვის ხუთი გოლის გატანა პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ ფერგი აზუსტებს: კრისტიანო მეტ ფულს იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ 30 გოლს მარტო პრემიერლიგაში მოუყრის თავს. ეს კი ურთულესი, თითქმის შეუძლებელი ამოცანაა. მაგრამ ვინ იცის? ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი თვითა და 14 ტურით ადრე რონალდოს ანგარიშზე 17 გოლია. ამჯერად, მხოლოდ პრემიერლიგაში გატანილ გოლებს ვითვლით. გასულ სეზონში რონალდომ სეზონი 23 გოლით დაასრულა. სხვათა შორის, მაშინ ფეხბურთელმა მთავარი მწვრთნელს ნიძლავი მოუგო. პირობა ასეთი იყო: პორტუგალიელს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში 15 გოლი უნდა გაეტანა. კრისტიანომ გეგმას რვა გოლით გადააჭარბა.

"იუნაიტედმა" კიდევ ერთ ფეხბურთელს შესთავაზა კონტრაქტის გაგრძელება. ამჯერად ყოველგვარი წინაპირობების გარეშე. მანჩესტერელებმა **პატრის ევრასთან** მოლაპარაკებები წამოიწყეს. მან კი მოულოდნელი პირობები წამოაყენა. ფრანგმა მცველმა კვირაში 120 ათასი გირვანქა მოითხოვა. "ეშმაკებმა" მისი ამბიციები ხუმრობად ჩათვალეს. ევრა "მენიუში" ორი წლის წინ, მონაკოდან გადავიდა. მან ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და კვირაში 36 ათას გირვანქას იღებს. 26 წლის პატრისი ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრია. მისი წარმომადგენლები ამიტომაც მიიჩნევენ, რომ ფეხბურთელი ისეთივე დონის ანაზღაურებას იმსახურებს, როგორსაც გუნდის ლიდერებს უხდიან.

ტრანსფერი

# კუფური აიაქსში

**სამუელ კუფური** "აიაქსში" გადავიდა. რომამ ამსტერდამულ გრანდთან ექვსთვიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. მოლაპარაკებებმა ორიოდ დღეს გასტანა. მხარეები ყველა საკითხზე უცებ შეთანხმდნენ და კონტრაქტსაც მოაწერეს ხელი. განელი ნახევარმცველი "ჯალოროსიში" 2005 წლის ზაფხულიდან თამაშობს. ის იტალიაში მიუნხენის "ბაიერნიდან" ჩავიდა. კუფურმა გასული სეზონი იჯარით ლივორნოში გაატარა. ზაფხულში ის კვლავ რომს დაუბრუნდა, მაგრამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო. თუმცა ძირითადს ვინ ჩივის, როცა სამუელი განაცხადშიც კი არ შეჰყავდათ ხოლმე. 31 წლის ფეხბურთელი ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და ინტენსიურად ეძებდა ახალ სამსახურს. "აიაქსის" გარდა, მას თურქული "ბეშიქთაშიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ჰოლანდიელებზე შეაჩერა არჩევანი. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.



სამუელ კუფური

### მოღალატე ეშლი კოული

**ეშლი კოულმა** მეუღლეს ნამდვილად უღალატა. "არსენალის" მცველი ცდილობდა **შერილის** დარწმუნებას, რომ მავან ლამაზმანთან არაფერი ჰქონია, რომ მთვრალი იყო და ამ მდგომარეობაში მასთან სექსის თავი არ ჰქონდა. მაგრამ როგორც გაირკვა, ის არც ასეთი გამოლენჩებული ყოფილა. "სანის" მიმომხილველი პირადად შეხვდა 23 წლის ლამაზმან **ბრუკ ჰილს** და მისგან საიდუმლო შეხვედრის ინტიმური დეტალები შეიტყო. ცნობისათვის, ქალბატონი ჰილი ამაყობს, რომ მისი საყვარლების ნუსხაში პრემიერლიგის რამდენიმე ვარსკვლავია: *"როცა საქმე სექსზე მიდგა, ვკითხე, ჰქონდა თუ არა პრეზერვატივი, მან კი მომიგო, რომ ჩელსიში განუწყვეტლივ უტარებდნენ გამოკვლევებს და აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო."*

ამ ისტორიის გამომზეურებისთანავე გამოჩნდა კიდევ ერთი გოგონა, რომელმაც თქვა, რომ ეშლი კოულმა ცოლს მასთანაც უღალატა, შემდეგ კი 6 ათასი გირვანქა გადაუხადა, რომ ამის შესახებ არ ელაპარაკა. კოულმა "ჩელსის" ბოლო კალენდარული მატჩი გამოტოვა. მიმომხილველების ერთი ნაწილი ამას მის ოჯახურ პრობლემებს უკავშირებს. შერილ კოულს მოღალატე ქმართან განქორწინება უნდა.

### დეკუ: ბოლო სეზონი ბარსაში?

**დეკუ** არ გამორიცხავს, მიმდინარე სეზონი უკანასკნელი აღმოჩნდეს მის ბარსელონურ კარიერაში. პორტუგალიელ ნახევარმცველს ინგლისში ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ. აი, მისი კომენტარი, რომელიც გუშინდელმა "დიარიო სპორტმა" გამოაქვეყნა: *"კამპ ნოუზე" სიამოვნებით გავაგრძელებდი კარიერას. პრობლემების მიუხედავად, რამდენიმე ტიტულის მოგება შეგვიძლია. არა მგონია, ხელცარიელები დავრჩეთ. ამ წუთას მხოლოდ "ბარსელონაზე" ვფიქრობ, სეზონის ბოლოს კი გადაწყვეტილება უნდა მივიღო. შესაძლოა, სამსახურის შეცვლა მომინიოს."* ამასობაში, ბარსელონის პოლიციამ დეკუ ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისას დააკავა. ფეხბურთელის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა დაშვებულ ნორმას ოდნავ აჭარბებდა. მაგრამ დანაშაული დანაშაულია. დეკუს ჯარიმის სახით 886 ევროს გადახდა ემუქრება. ამჯერად მას მართვის მოწმობის ჩამორთმევა არ ემუქრება.

### ლიპი: კასანო ნაკრებში

**მარჩელო ლიპი** იტალიის ნაკრების ხელმძღვანელობას ურჩევს, **ანტონიო კასანო** ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანონ. ახალგაზრდა თავდამსხმელი სამშობლოში გასულ ზაფხულს დაბრუნდა. მან მადრიდის "რეალიდან" გენუის "სამპდორიას" მიაშურა და შთამბეჭდავად ათამაშდა. ლიპის აზრით, ფეხბურთელი ეროვნულ გუნდში ყოფნას იმსახურებს. კასანოს ბოლო სანაკრებო მატჩი 2006 წლის 6 სექტემბრით თარიღდება. იმ დღეს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, იტალიამ საფრანგეთთან 1:3 წააგო.

### ლიდსი მაკალისტერს ჩააბარეს

"ლიდსის" მთავარ მწვრთნელად შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **გარი მაკალისტერი** დაინიშნა. 43 წლის მაკალისტერმა კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა. მან ამ პოსტზე **დენის უაიზი** შეცვალა. უაიზმა "ნიუკასლს" მიაშურა და **კევინ კიგანის** თანაშემწე გახდა. ფეხბურთელობისას მაკალისტერმა ლიდსში ექვსი სეზონი გაატარა და 300-ზე მეტი მატჩი ჩაატარა.

მილანი

# რონალდო მხნედაა

## მაგრამ დღეს მის ადგილს ჯილარდინო დაიკავებს...

**რონალდოს** ტრავმა უმნიშვნელოა. მომავალ უქმეებზე თავდამსხმელი "ფიორენტინასთან" ითამაშებს - ეს ინფორმაცია "მილანის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა გაავრცელა. ფენომენი "ჯენოასთან" ბოლო ტურის მატჩისას დაშავდა. ის დაუყოვნებლივ შეცვალეს. გაირკვა, რომ რონალდოს კუნთი აქვს დაჭიმული. ვარსკვლავი გულშემატკივრებს არწმუნებს, რომ საშიში არაფერია: *"იმედია, მომდევნო ტურში ძირითადში ვიქნები. "მილანს" ბევრი მატჩი აქვს ჩასატარებელი. მას ყველა ჯანმრთელი მოთამაშე სჭირდება."*

რონალდომ მიმდინარე სეზონში მხოლოდ სამი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. მიზეზი ქრონიკული ტრავმებია. მის არყოფნაში ძირითადს გაუშინაურდა ბრაზილიელი ვუნდერკინდი **ალექსანდრე პატო**, რომელმაც "ჯენოასთან" დუბლი მიითვალა. კონკურენტის გამოჩენის მიუხედავად, რონალდოს ენთუზიაზმი ოდნავადაც არ განელებია: *"ვგრძნობ, რომ კიდევ შემიძლია, გუნდს გამოვადგე. ძალიან მინდა "მილანთან" ერთად ჩემპიონთა თასის დაუფლება."*

დღეს მილანელები "რეჯინასთან" გამოტოვებულ მატჩს გამართავენ. რონალდო განაცხადში არ იქნება. ის ადგილს კი **ალბერტო ჯილარდინო** დაიკავებს. **კარლო ანჩელოტი** კიდევ ერთხელ შეეცდება, წერტილი დაუსვას სპეკულაციებს ჯილარდინოს მოსალოდნელი აბარგების თაობაზე.



რონალდო

იტალიური ოსკარები

# კაკას მორიგი აღიარება

**კაკამ** მორიგი ჯილდო დაისაკუთრა. ის კალჩოს ოსკარების ლაურეატი გახდა. "მილანის" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა მისი კოლეგების, სერია A-ს ფეხბურთელთა აღიარებაც დაიმსახურა. ის იტალიის წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ნომინაციას, რომელშიც კაკამ გაიმარჯვა, "საუკეთესოთა შორის საუკეთესო ფეხბურთელი" ჰქვია. ამ ჯილდოს გარდა, კაკა საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელადაც დაასახელეს. ეს სეზონი კაკასათვის პირადი ჯილდოების თვალსაზრისით საუცხოო გამოვიდა. მან ოქროს ბურთი, ფიფას ვერსიით, წლის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო და სპორტულ ჟურნალისტთა და ექსპერტთა ჯილდო გადაეცა. ახლა ამ ყველაფერს "ოსკარები" დაემატა. ქვემოთ წლის ყველა ლაურეატის ვინაობას გაეცანით:

საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი: **ფრანჩესკო ტოტი**

საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი: **კაკა**

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი: **რიკარდო მონტოლივო**

საუკეთესო მეკარე: **ანჯელო პერუცი**

საუკეთესო მცველი: **მარკო მატერაცი**

საუკეთესო მწვრთნელი: **ლუჩანო სპალეტი**

საუკეთესო მსაჯი: **რობერტო როსეტი**

და კიდევ, წლის ჩემპიონთა ჩემპიონი. ეს ჯილდო ფეხბურთელს ბოლო ათი წლის განმავლობაში (1997-2000) გაკეთებული საქმეების შეჯამებით შედეგად ავლენენ: გამოკითხვაში რონალდომ ცალსახა უპირატესობით გაიმარჯვა.

შალკე

# იოზილი: ჰანოვერი თუ შტუტგარტი?

## სლომკამ, მესუთს ვერ შევურიგდებით, ის უნდა წავიდესო. გელზენკირხენელები იოზილის სანაცვლოდ 7 მილიონს ითხოვენ...

„შალკესა" და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ **მესუთ იოზილის** საკითხი 31 იანვრამდე უნდა გადაწყდეს. ხუთშაბათს, 24 საათზე სატრანსფერო ფანჯარა იხურება და 19 წლის ტალანტს ახალი გუნდი ჯერაც არ უპოვია. და თუ ისე მოხდა, რომ პარასკევამდე არაფერი შეიცვალა, გერმანიის ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელს სეზონის მეორე წრის გატარება ტრიბუნაზე მოუწევს. როგორც იცით, „შალკეს" ხელმძღვანელებმა ის გუნდიდან მოკვეთეს. თურქული წარმოშობის გამთამაშებლით „ჰანოვერი" და „შტუტგარტი" არიან დაინტერესებული. მაგრამ გელზენკირხენული კლუბი მის სანაცვლოდ საკმაოდ დიდ თანხას ითხოვს. იოზილს „შალკესთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს.

რამდენიმე დღის წინათ **მირკო სლომკამ** თქვა, ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული, რომ მესუთი შემოვირიგოთ, ამისათვის საჭიროა, რომ მოვიდეს, დაგველაპარაკოს და ბოდიში მოგვიხადოსო. მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელი არა თუ ასე არ მოიქცა, მეტიც, „კიკერს" ინტერვიუ მისცა, სადაც „შალკეს" ბოსები და მწვრთნელი მიწასთან გაასწორა. შესაბამისია სლომკას რეაქციაც. მირკო ამბობს, ამიერიდან უკვე ცხადია, რომ იოზილს ჩვენთან მომავალი არ აქვსო. *„ამ ინტერვიუს შემდეგ მესუთისთვის ჩვენი გუნდის კარი საბოლოოდ ჩაიკეტა. მე უკვე ველარ ვხედავ იმის შესაძლებლობას, რომ მისი შემორიგებას მოხდეს,"* – განაცხადა გელზენკირხენული გუნდის დამრიგებელმა. ხსენებულ ინტერვიუში ფეხბურთელი ამბობდა, მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** სიტყვა არ შეასრულა – ის მპირდებოდა, რომ ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებდიო. გარდა ამისა, იოზილი აღნიშნავდა, რომ ხელმძღვანელებმა მის წინააღმდეგ ბინძური კამპანია დაიწყეს, როცა ამბობდნენ, შესანიშნავი პირობები შევთავაზეთ და უარი გვითხრაო.

მიუხედავად ყველაფრისა, მესუთს შეეძლება, რომ „შალკესთან" ერთად ივარჯიშოს. *„მას გუნდთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული და შესაბამისად, ვარჯიშიდან არავინ აგდებს. ჩვენ მას ზუსტად ისევე მოვექცევით, როგორც სხვა ფეხბურთელებს, განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ მას თამაშის შანსი არ ექნება, განაცხადში არ მოხვდება,"* – ამბობს სლომკა. მიულერი კი ამატებს, ტრანსფერისთვის მზად ვართ, მთავარია, რომ ის თანხა გადაგვიხადონ, რასაც ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ ვითხოვთო. *„ის ძალიან ნიჭიერი და უკვე საკმაოდ ძვირადღირებული ფეხბურთელია. იოზილის გაჩუქებას არ ვაპირებთ,"* – ამბობს „შალკეს" ბოსი.

ფეხბურთელმა დაადასტურა, რომ მას „ჰანოვერიდან" დაუკავშირდნენ. ქვემო საქსონიელები ცდილობენ, გაიგონ, აქვთ თუ არა იოზილის გადაბირების შანსი, მაგრამ „შალკე" მის სანაცვლოდ 7 მილიონ ევროს ითხოვს, რაც „ჰანოვერისთვის" ამ ეტაპზე უტოპიური თანხაა. თუმცა „წითლების" სპორტული დირექტორი **კრისტიან ჰოხშტეტი** ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამბობს, როცა ასეთი საინტერესო ფეხბურთელი ტრანსფერზეა დაყენებული, უმოქმედობა ცოდვააო. ცნობილია, რომ „ჰანოვერი" მომდევნო სეზონისთვის ერთ შემტევ ნახევარმცველს (ისეთს, როგორიც იოზილია) და ერთ თავდამსხმელს ეძებს.

მესუთისთვის ბრძოლაში გერმანიის მოქმედი ჩემპიონი „შტუტგარტიც" ჩაება. მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** დაადასტურა, რომ „შალკესთან" მოლაპარაკებები დაწყებულია და იქვე დასძინა, კონკურენტებიც გვყავსო. ამასთან, ჰელდტი იმასაც უსვამს ხაზს, რომ 7 მილიონი უტოპიური ფასია. მესუთი ძალიან მოსწონს „შტუტგარტის" მთავარ მწვრთნელ **არმინ ფეესაც**, რომელიც არ მალავს, რომ შალკელს დიდი სიამოვნებით იხილავდა თავისი შეგირდის რანგში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკეს პრობლემა: მესუთ იოზილი.
ამაზეა ნათქვამი, თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო...

აქვე გეტყვით, რომ ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებ, თითქოს „ბირმინგემი" „შალკეს" დანიელი გარემარბით, **პეტერ ლოვენკრანდსითაა** დაინტერესებული. 28 წლის მარცხენაფლანგელი აცხადებს, რომ მას ინგლისიდან არავინ დაჰკავშირებია და იქვე ამატებს, „შალკეში" ვრჩებიო. შეგახსენებთ, რომ „ბირმინგემის" მთავარი მწვრთნელი **ალექს მაკლიში** ლოვენკრანდსს „რეინჯერსიდან" იცნობს. პეტერმა „შალკეს" 2006 წელს სწორედ გლაზგოური კლუბიდან მიაშურა და **ლევან კობიაშვილის** გუნდთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს გაფორმებული. ლოვენკრანდსს ბუნდესლიგაში 38 მატჩი აქვს ჩატარებული (6 გოლი).

ბოლოს კი გამცნობთ, რომ „ბილდის" ინფორმაციით, ამ დღეებში „შალკე" **ჯერალდ ასამოას** ახალ კონტრაქტს გაუფორმებს, რომელსაც ვადა სავარაუდოდ 2011 წლამდე ექნება, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ ასა კარიერის ბოლომდე გელზენკირხენში დარჩება...

**გოტფრიდ ლენცი**



რუდი ასაუერი ფეხბურთიდან არ წასულა

ინტერვიუ რუდი ასაუერთან

# ახალგაზრდა ფეხბურთელს ხელი უნდა მოკიდო და სწორ გზაზე დააყენო!

## რუდის შალკეს ღალატს სიკვდილი ურჩევნია...

**მალე ორი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც რუდი ასაუერმა „შალკეს" გენერალური მენეჯერის თანამდებობა დატოვა. სიგარების მოყვარული ბოსი გელზენკირხენული კლუბიდან წავიდა, მაგრამ ფეხბურთში დარჩა. მიუხედავად ამისა, გერმანულ ფეხბურთში ის მაინც უაღრესად პატივსაცემ პიროვნებად რჩება, რომელსაც მუდმივად ეკითხებიან რჩევებს. „შალკეს" ხელმძღვანელებთან მას ყველანაირი კონტაქტი გაწყვეტილი აქვს და გუნდის შიდა საქმეებში ოდნავადაც არ ერევა. სამაგიეროდ, არ მალავს, რომ იმ ფეხბურთელებთან, რომლებიც თავის დროზე „შალკეში" მიიყვანა, ხშირი ურთიერთობა აქვს. მათ შორის, ალბათ ლევან კობიაშვილთანაც – კობიც ხომ ასაუერის ხელმძღვანელობის დროს გახდა „შალკეს" ფეხბურთელი. სიგარების მოყვარულ რუდის, რომელმაც „შალკედან" წასვლის შემდეგ საკუთარი საagენტო დაარსა, გამოცემა „ველტის" კორესპონდენტი გაესაუბრა.**

**- ჰერ ასაუერ, რას საქმიანობთ ამჟამად?**

- საფეხბურთო მრჩეველი ვარ.

**- ანუ?**

- მრჩეველთა სააგენტო დავაარსე - სხვადასხვა კომპანიებს, გუნდებს და ფეხბურთელებს ვეხმარებით.

**- გელზენკირხენის „შალკეს" ყოფილი მენეჯერი მრჩეველი გახდა?**

- მივხვდი, რასაც გულისხმობთ. ამ საქმიანობას გერმანიაში არც ისე კარგი სახელი აქვს. ამიტომაც იყო, დიდხანს რომ ვყოყმანობდი, მაგრამ მერე მეგობრებმა დამარწმუნეს, რომ ამ საქმისთვის ხელი უნდა მომეკიდა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ფეხბურთში და საფეხბურთო წრეებში ძალიან კარგად ვერკვევი და თანაც, ისეთი დიდი გუნდის მენეჯერი ვიყავი, როგორიც „შალკეა". ფეხბურთში ფაქტობრივად ყველაფერი ზეპირად ვიცი. ვფიქრობ, ამ მხრივ გერმანიაში არც ისე კარგი სიტუაციაა. აგენტები ძალიან ცუდად იქცევიან, მაგრამ ეს ფეხბურთელების ბრალიცაა. ახალგაზრდა მოთამაშეებს თავში მხოლოდ ფული უტრიალებთ, რაც ძალიან ცუდი და ავისმომასწავებელია. არადა, ეს ყველაფერი პირველ რიგში ხომ ფეხბურთისთვის, სპორტისთვის უნდა კეთდებოდეს. აგენტები ნიჭიერ ფეხბურთელებს ფულით აგიჟებენ ხოლმე, რითაც კარიერას უფუჭებენ. ჩემი მიზანია, რომ გერმანიაში საფეხბურთო აგენტის ინსტიტუტს მივხედო და სამაგლითო სააგენტო მქონდეს.

**- რისი ალკვეთა გსურთ?**

- მინდა, რომ ფეხბურთელებს ვუთხრა: „ყურადღებით იყავი, ბიჭუნი, მე შენს თამაშს დავესწრები და ვნახავ, რა შესაძლებლობები გაქვს, მოახერხებ თუ არა ჯუნგლებიდან პროფესიულ ფეხბურთში მოსვლას და აქ ფეხის მოკიდებას." თუ ბავშვს თავიდანვე შთააგონე, რომ უდიდესი ტალანტია, რომ ყველას სჯობია და აუცილებლად დიდ ფეხბურთს ითამაშებს, შანსი იმისა, რომ მისგან მართლაც დადგეს შრომისმოყვარე მოთამაშე, მხოლოდ და მხოლოდ 10-20 პროცენტი იქნება. არადა, აგენტები და მრჩევლები დღეს სწორედ ასე იქცევიან ხოლმე. ეს კი დიდი შეცდომაა. ახალგაზრდა ფეხბურთელს ხელი უნდა მოჰკიდო და სწორი გზა აჩვენო, ამ გზაზე დააყენო. სააქციო საზოგადოება „ასაუერ შპორტმენეჯმენტი" არა მარტო ფეხბურთელებს, კლუბებს და იმ კომპანიებსაც სიამოვნებით მოემსახურება, რომლებსაც ფეხბურთში ფულის ჩადება სურთ.

**- რამდენადაც გვახსოვს, თქვენ გინდოდათ, რომ „შალკედან" წასვლის შემდეგ მშვიდი ცხოვრებით გეცხოვრათ...**

- დიახ, ასე მინდოდა, მაგრამ რალაცნაირად არ გამოდის. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი სახეზეა: ყოველდღიურად, ღამის 12 საათამდე საწერ მაგიდასთან ვზივარ. სხვანაირად არ შემიძლია.

**- „შალკეს" ფეხბურთელებმა უკვე მოგმართეს?**

- არა, „შალკეს" ფეხბურთელების აგენტობას არ ვაპირებ. თავიდანვე ვთქვი, რომ ამას არ ვიზამდი. მერე სხვანაირი საუბრები დაიწყება, ეს კი არ მინდა. „შალკე" არანაირად აღარ ვეხები, გარდა იმისა, რომ თამაშებზე დავდივარ და ჩემს უსაყვარლეს კლუბს ძველებურად ვქომაგობ.

**- „შალკესთან" ან ამ გუნდის ხელმძღვანელებთან არანაირი ურთიერთობა არ გაქვთ?**

- „აუფ შალკეს" ლოჟა ვიყიდე და მეგობრებთან ერთად ყველა თამაშს ვესწრები. ზოგჯერ გუნდს გასვლით მატჩებზეც დავყვები ხოლმე. ეს არის და ეს. სხვაგვარად წარმოუდგენელია, „შალკე" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- „შალკე" ერთადერთი გერმანული კლუბია, რომელიც ჩემპიონთა ლიგას შემორჩა. როგორ გგონიათ, როგორი მომავალი აქვს ამ კლუბს?**

- ჰო, ამ სეზონში ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მხოლოდ იმ მხრივ, რომ „შალკე" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა, მაგრამ ძალიან მეშინია, რომ მომდევნო სეზონში ლიგის საგზურს ველარ მოიპოვებენ. მირკო სლომკას გუნდს ამ სეზონში საუკეთესო სამეულში მოხვედრა ძალიან გაუჭირდება. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ახალი ფეხბურთელები, რომლებიც გუნდმა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შეიძინა, ახალ გარემოს მალე შეეწყობიან და საუკეთესო თვისებებს გამოავლენენ. თუ ეს ასე არ მოხდა, მდგომარეობა დამძიმდება. სამწუხაროდ, „შალკეს" იერარქიაში ჯერ კიდევ არაა ისეთი ვითარება, როგორიც უნდა იყოს. პირველ წრეში გუნდმა ძალიან ბევრი ქულა დაკარგა.

**- გუნდთან კონტაქტი გაქვთ?**

- რა თქმა უნდა. აქტუალური შემადგენლობის დიდი ნაწილი გუნდში ხომ მე მივიყვანე. შესაბამისად, მათთან კონტაქტი არ გამიწყვეტია. ფეხბურთელები ხშირად მირეკავენ და რჩევას მეკითხებიან ხოლმე. ასე რომ, სხვა თუ არაფერი, ამ გუნდის არქიტექტორი ჯერ კიდევ ვარ.

**- არქიტექტურაზე გაგვახსენდა: რას ფიქრობთ იმის შესახებ, რომ „ბაიერნს" მომავალი სეზონიდან იურგენ კლინსმანი გაწვრთნის?**

- ჩემთვის ეს უდიდესი სენსაციაა. პირველყოვლისა იმის გამო, რომ როცა კლინსმანი რეკორდმაისტერში თამაშობდა, გუნდში მუდმივად კარგი გარემო ნამდვილად არ იყო და ეს კლინსის ბრალიც გახლდათ?

**- და როგორ ფიქრობთ, მიაღწევს „ბაიერნი" წარმატებებს კლინსმანთან ერთად?**

- თუკი იურგენი და გუნდის შეფები ერთ კონკრეტულ კურსზე შეთანხმდებიან, მაშინ „ბაიერნი" შესანიშნავად იფუნქციონირებს. მაგრამ განა ძველი წყენა მართლაც ჩაბარდა წარსულს? ამაში ეჭვი მეპარება. ამას დრო გვიჩვენებს. თუ შემადგენლობის ხარისხს გავითვალისწინებთ, „ბაიერნმა" წესით დიდი მიზნებისთვის უნდა იბრძოლოს.

**- 2010 წელს ული ჰიონესი რეკორდმაისტერის გენერალური მენეჯერის პოსტს დატოვებს და სამეთვალყურეო საბჭოში გადაინაცვლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნს" მისი შემცვლელი დასჭირდება...**

- რატომ მეკითხებით? ჩემზე ხომ არ ფიქრობთ? დაივიწყეთ! ჩემი გადაბირებისთვის სხვა გუნდებიც იბრძოდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ამ საქმიანობას აღარასოდეს დავუბრუნდები.

**- ნერვების წყვეტა აღარ გინდათ?**

- თუ გგონიათ, რომ ახლა ნაკლები სტრესი მაქვს, ძალიან ცდებით. საკმაოდ დიდხანს ვიყავი მენეჯერი იმისათვის, რომ ამ თანამდებობის დაბრუნება მინდოდეს. თანაც, ეს ნაბიჯი რომ გადავდგა, „შალკეს" ვუღალატებ, ამ გუნდის ღალატს კი სიკვდილი მირჩევნია. არა, ასეთ ნაბიჯს არასდროს გადავდგამ, „შალკეს" ქომაგებს ასეთ რამეს არ გავუკეთებ.

**- გერმანულ ფეხბურთში ყველაზე მეტად რა არ მოგწონთ?**

- მსახიობობა. ინგლისელები ერთმანეთს დასცხებენ ხოლმე, მაგრამ მერე ისევ ფეხზე დგებიან. თუ ასე არ ხდება, ყველამ იცის, რომ რალაცაშია საქმე და პრობლემას მოგვარება სჭირდება. იქ არავინ მსახიობობს, არავინ თამაშობს. დააკვირდით, ინგლისში სიმულანტობა დიდი სირცხვილია, რაც ჩემი აზრით, ძალიან დასაფასებელია. აი, ასე ყალიბდება საფეხბურთო კულტურა, რომელიც მე იდეალურად მიმაჩნია. ჩვენთან კი მაშინვე თეატრი მოეწყობა ხოლმე, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა მაინც იტალიაშია.

**გოტფრიდ ლენცი**

## საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ოთხი ჩემპიონი

ბათუმში, ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა საქართველოს ჩემპიონატი. საქმეში უკვე „ანტიკოსები" ჩაებნენ. გუშინ შეჯიბრი ოთხ წონით წონით კატეგორიაში გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტები - **რამაზ ნოზაძე, დავით ბედინაძე, მანუჩარ კვირკველია** და **ბადრი ხასაია** ბათუმში არ ჭიდაობენ, ტურნირმა მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია და ჭიდაობის დარბაზი გულშემატკივრებმა დარბაზი ბოლომდე შეავსეს. ლიდერთა არყოფნაში პირველმა დღემ დიდი სიურპრიზების გარეშე ჩაიარა.

55-კგ წონით კატეგორიაში ფინალში ერთმანეთს ქუთაისელი **ლაშა გოგიტაძე** და თბილისელი **ირაკლი ჭოჭუა** დაუპირისპირდნენ. საკმაოდ ბევრი ფავორიტად ჭოჭუას მიიჩნევდა, მაგრამ ლაშა გოგიტაძემ გაიმარჯვა. მესამე ადგილებზე **ზურაბ კეკელიძე** (ოზურგეთი) და **გიორგი გვენეტაძე** (აჭარა) გავიდნენ.

60 კგ. 1. **რეზო ლაშხი** (ბორჯომი) 2. **ტარიელ ებრალიძე** (თბილისი) 3. **ზვიად ოქრაძე** (აჭარა) და **გოდერძი დავითაძე** (აჭარა)

66 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს შაერშანდელმა ჩემპიონმა **მუხრან მაჭუტაძემ** გაიმარჯვა. ნახევარფინალში გასასვლელად ბათუმელი ფალავანი ხობელ **მანუჩარ ცხადაიას** დაეჭიდა. შეხვედრის ბოლო წამზე მაჭუტაძემ მეტოქე დაატრიალა, თუმცა, ცხადაიამ და მისი მწვრთნელმა გააპროტესტეს, აქაოდა ილეთი სირენის შემდეგ გაისმაო. ვიდეოგამეორებამ გამარჯვებულად მაჭუტაძე გამოავლინა. მაჭუტაძემ ფინალში ოზურგეთელ **ლაშა ლომაძეს** მოუგო და ჩემპიონობაც გაინაღდა. მესამე ადგილზე **ანტონ მამარდაშვილი** (ქუთაისი) და **მანუჩარ ცხადაია** (ხობი) გავიდნენ.

74 კგ. 1. **შმაგი სალთხუციშვილი** (გარდაბანი), 2. **გენადი გოგიშვილი** (თბილისი), 3. **მამუკა ხიმშიაშვილი** (აჭარა) და **გიორგი ცირეკიძე** (ქუთაისი).

დღეს დარჩენილი სამი კატეგორიის ფალავნები დაეჭიდებიან ერთმანეთს.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

# ნოზაძე კრეტეიში

ამ უქმეებზე ფრანგულ კრეტეიში ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, რომელშიც საქართველოდან ერთადერთი სპორტსმენი გამოდიოდა - მსოფლიო ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე** (96). ეს ძლიერი და საჭიდაო სამყაროში მეტად ავტორიტეტული შეჯიბრებაა. ნოზაძის გაშვებაც ამიტომ გადაწყდა, თორემ ნაკრების მოსამზადებელ გეგმაში ეს ტურნირი არ შედიოდა.

ნოზაძე ამ ტურნირზე მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა - შარშან მოიგო, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა. იგი თბილისში გამთენიისას დაბრუნდებოდა, მის ჩამოსვლამდე კი ტურნირის პერიპეტიებზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით. ამდენად, არ ვიცით, ვისთან წააგო და რომელ ეტაპზე - ინტერნეტში მხოლოდ წონების მიხედვით, ათეულებია შეტანილი, მათ შორის კი ნოზაძე არაა. ბარემ აქვე გეტყვით, რომ 96-ში სწორედ იმ ლიტველმა, **მინდაუსკას ეზერსკისმა** გაიმარჯვა, ვისაც ნოზაძემ შარშან მსოფლიოს ფინალი მოუგო. მეორეზე მასპინძელი **ვინსენტ ვიდალი** გავიდა, ბრინჯაოს მედლები კი ბულგარელმა **კალოიან დინჩევმა** და ნორვეგიელმა **ფრიც აანსენმა** მოიპოვეს.

**ირაკლი თავაძე**






ანა ივანოვიჩი გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ

## ფედერაციის თასი

# ნილი ნაყარია: ბელარუსი, შვედეთი და სლოვენია

FedCup by BNP PARIBAS

გუშინ ბუდაპეშტში გაიმართა „ფედერაციის თასის" ევროპა-აფრიკის I ზონის წილისყრა, რომლის შედეგადაც 15 მონაწილე ქვეყანა ოთხ ჯგუფში განაწილდა. საქართველოს ნაკრები, რომელსაც **ლალი ზერეკიძე** კაპიტნობს, C ჯგუფში მოხვდა ბელარუსის, შვედეთის და სლოვენიის ნაკრებებთან ერთად.

მართალია, საქართველოს ნაკრები უნგრეთში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა და ნებისმიერ ჯგუფში წარმატების მოპოვება გაუჭირდებოდა, მაგრამ წილისყრამ ჩვენები აშკარად დაინდო. მაგალითოსთვის, D ჯგუფში სამი ნაკრები მოხვდა და თან სამივე ძალიან ძლიერი: სერბეთი, პოლონეთი და რუმინეთი. ასეთი ძალის მეტოქე ერთიც კი არ გვყავს ჯგუფში. ძალიან ძლიერია B ჯგუფიც, სადაც მასპინძელთა ძლიერ ნაკრებს შვეიცარიის, დანიის და დიდი ბრიტანეთის ნაკრებები დაემატნენ. სპეციალისტთა საერთო შეფასებით A ჯგუფი უსუსტესია: ჰოლანდია, ბულგარეთი, ლუქსემბურგი და პორტუგალია.

დღეს საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრაში ჯგუფის ფავორიტ ბელარუსს შეხვდება. ეს მატჩი „სიმა სპორტის" დარბაზში ჩვენი დროით ნაშუადღევს პირველ საათზე დაიწყება მესამე კორტზე. ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩი შვედეთის და სლოვენიის ნაკრებებს შორის პარალელურად ნომერ მეორე კორტზე გაიმართება. დილიდანვე ითამაშებენ ცენტრალურ კორტზე რუმინეთი და პოლონეთი. პუბლიკის ყურადღებაც ამ მატჩისადმი იქნება მიმართული, სანამ ამავე კორტზე მასპინძლები დანიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. საღამოს პროგრამაში (შვიდი საათიდან) სამი მატჩია: ჰოლანდია-ლუქსემბრუგი (მეორე კორტზე), ბრიტანეთი-შვეიცარია (მესამეზე) და ბულგარეთი-პორტუგალია (მეოთხეზე).

შეგახსენებთ, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი ითამაშებს ფლეი-ოფში, სადაც გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიო ჯგუფის სააპრილო ფლეი-ოფის საგზურს მოიპოვებს. უკანასკნელ ადგილზე გასული ფლეი-დაუნში გაარკვევს - დარჩება პირველ ზონაში, თუ მეორეში გავარდება. ამასთან დაინიშნება მეორე-მესამე ადგილებზე გასულთა ფლეი-ოფიც, თუმცა ამ გათამაშებას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება.

ბოლო წუთს საქართველოს ნაკრების პირველ მეტოქე ბელარუსს მთავარი ვარსკვლავი გამოაკლდა. მსოფლიოს 24-ე ჩოგანმა 18 წლის **ვიქტორია აზარენკამ** ნაკრები უარით გაისტუმრა. შეგახსენებთ, რომ აზარენკამ ახლახან ავსტრალიის ღია პირველობაში წყვილთა თანრიგის ფინალში ითამაშა. თუმცა სასიხარულოც ბევრი არაფერია - ბელარუსთა მეორე ნომერი **ოლგა გოვორცოვა**, რომელიც სულ ერთი წლით უფროსია აზარენკაზე მსოფლიოს 47-ე ჩოგანია. მეტოქეს **ტატიანა პუჩეკის** (28 წლის, მსოფლიოს 106-ე ჩოგანი, წყვილებში 34-ე) და **დარია კუსტოვასი** (21 წლის, მსოფლიოს 188-ე ჩოგანი, წყვილებში 78-ე) ეიმედება. როგორც ხედავთ, ბელარუსი ჩვენთან მატჩის წინ აშკარა ფავორიტია, რადგან საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელის რეიტინგი (**ოქსანა კალაშნიკოვა** - 643-ე) ძალიან ჩამორჩება მათსას.

სხვათა შორის, ოლგა გოვორცოვას თბილისში აქვს ნათამაშები. 14 წლის ასაკში მან 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო წრეში ითამაშა წყვილებში. მაშინ მისი მეწყვილე **ანა ჯულელი** იყო, რომელიც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად (19 წლისაა) კარგა ხანია აღარ თამაშობს. ამ დუეტმა დღეისათვის კიდევ ერთ წარმოუდგენელ წყვილთან წააგო - **თათია მიქაძესთან** და **ანა ჩაკვეტაძესთან**. შეგახსენებთ, რომ მიქაძე ახლაც ნაკრებშია. გოვორცოვა ბოლოს ქართველებს შარშან შეხვდა პელჰამის ტურნირში (აშშ), სადაც **სოფიო მელიქიშვილს** 6:1, 6:0 მოუგო.

სლოვენიის ნაკრებში ბელარუსის დარი სიტუაციაა, უბრალოდ თავიდანვე ითქვა რომ მათი ლიდერი **კატარინა შრებოტნიკი** (მსოფლიოს 28-ე ჩოგანი) არ ითამაშებდა. გუნდში არიან: **ანდრეა კლეპაჩი** (146), **მასა ზეკ პეშკირიჩი** (167) და **პოლონა ჰერცოგი** (390). უბრალოდ, სლოვენიის ნაკრების დამარცხება უფრო რეალურად გვესახება. შვედეთის ნაკრების ლიდერია 23 წლის **სოფია არვიდსონი** მსოფლიოს 69-ე ჩოგანი. სხვები: **იოჰანა ლარსონი** (283), **მიხაელა იოჰანსონი** (335) და **ნადია რომა** (365).

საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ითამაშებს: ოქსანა კალაშნიკოვა, **ეკა გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია** და თათია მიქაძე. ჯგუფური ეტაპი 30 იანვარს იწყება და 1 თებერვალს დასრულდება, ფლეი-ოფები 2 თებერვალს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბუდაპეშტის კორტი მზადაა



## ეროვნული ნაკრები

# მარიუპოლში ერთადერთი ლეგიონერით

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები 3 თებერვალს გაემგზავრება უკრაინის ქალაქ მარიუპოლში, სადაც

უკრაინის ღია პირველობის მეორე წრეში იასპარეზებს. როგორც ნაკრების თავკაცმა **სოსო მაისურაძემ** გვითხრა, საკლუბო პრობლემების გამო, გუნდი ერთადერთი ლეგიონერით წარდგება მარიუპოლში.

- რაკილა ახლა ევროპულ წყალბურთში გახურებული შიდა ჩემპიონატების სეზონია, კლუბები წყალბურთელებს ნაკრებში არ უშვებენ. ამის გამო ერთბაშად 7 წამყვანი ლეგიონერი დაგვაკლდება. ფაქტობრივად, ერთადერთი ლეგიონერი გვეყოლება - გერმანული „ჰანოვერის" წყალბურთელი პავლე ჯაფარიძე. დანარჩენი მოთამაშეები კი საქართველოში ვარჯიშობენ, სადაც ერთი კლუბიც არ გვაქვს და ნიჭიერ ახალგაზრდებს აუზიდან აუზზე ვატარებთ. ისე, ამ ახალგაზრდების უკრაინაში წაყვანა კარგი იქნება, რადგან გვინდა, რომ მათ მაქსიმალურად ბევრი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ. ლეგიონერები აქ მოვარჯიშეებზე საგრძნობლად მაღლა დგანან და გვინდა აქაურები ლეგიონერთა დონეს მივუახლოვოთ.

**- ასეთი შემადგენლობით რამდენად რთული იქნება უკრაინის პირველობაზე თამაში?**

- ადვილი არ იქნება, მაგრამ სხვა რა გზაა. რა შემადგენლობაც გვეყოლება, იმით უნდა გავიდეთ ფონს. პირველ წრეშიც გვაკლდა რამდენიმე ლეგიონერი, მაგრამ ახლა მეორე ადგილზე ვართ და პირველადგილოსანი მარიპოლის გუნდი 2 ქულით გვისწრებს. სრულ შემადგენლობას ალბათ უფრო მესამე წრისთვის შევკრებთ და მაშინ უკვე სერიოზული ამბიციები გვექნება.

**- რა პირობებში ემზადებით უკრაინის ღია პირველობისთვის?**

- სამწუხაროდ, 2 კვირის განმავლობაში ჩვენთვის ხელსაყრელ ვერცერთ აუზზე ვერ შევდიოდით, რადგან არსად არ იყო წყალი. მხოლოდ ახლაღა გვეშველა. კონკრეტულად, არმიის სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელმა გია თენაძემ გამოიჩინა დიდი გულისხმიერება და აუზი 2 კვირით უფასოდ დაგვითმო. ასეთი რამ საქართველოში ძალიან იშვიათად ხდება. როგორც წესი, ნორმალურ აუზში არავინ შეგიშვებს უფულოდ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თენაძეს...

**კობა ხატისაშვილი**





**ვიქტორ კრატასიუკი.** 30.01.1949, **ფოთი - 18.03.2003, იქვე. ნიჩბოსნობა, ბაიდარა. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ორადგილიანი ბაიდარა), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1971, 72 - ორადგილიანი ბაიდარა) და მესამე პრიზიორი (1971 - ოთხადგილიანი ბაიდარა). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ლევან ცაბაძე ახალ ამპლუაში

რაგბი. 2 თებერვალი. საქართველო-პორტუგალია

# ლეინის ნელინადი და სამი დღე პორტუგალიამდე

## რეპორტაჟი ახალი მწვრთნელის პირველი ვარჯიშიდან

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გუშინ პირველი ვარჯიში გამართა ავსტრალიელი მწვრთნელის, ტიმ ლეინის ხელმძღვანელობით. მიხეილ მესხის სტადიონის სათადარიგო მოედნის ატალახებულ მინდორზე ნაკრების ახალი თავკაცის განკარგულებაში 28 მორაგბე და ასისტენტი მწვრთნელები - ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე იყვნენ.**

ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღია საფრანგეთის „მასის" მესამეხაზელ **გიორგი ჩხაიძეს**, რომელსაც ფედერალ 1-ის გათამაშების უკანასკნელ ტურში, „დიჟონის" წინააღმდეგ, ყური აახიეს. ბინგოს ნაკრები დაადეს და იმედი აქვს, რომ პორტუგალიელებთან თამაშს მაინც შეძლებს.

*„ძალიან გული მწყდება, ეს რომ დამემართა,* - გვითხრა მოედნის განაპირას მდგომმა გიორგი ჩხაიძემ, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს გუნდის ვარჯიშს. - *ვეუბნებოდი მწვრთნელებს, არ მათამაშოთ, შეუძლოდ ვარ-მეთქი. ვინ დამიჯერა. კისერი მტკიოდა და ვატყობ, ტკივილები გამიმძაფრდა. ამას ეს ყურიც დაემატა. არადა ჩვენი ნაკრები ისედაც გადახალისებული შემადგენლობით ხვდება ორ უმნიშვნელოვანეს თამაშს. არა უშავს, მართალია ბევრი ახალი და ახალგაზრდა მოთამაშეა გუნდში, მაგრამ ყველაფერს ვილონებთ წარმატების მისაღწევად."*

ნაკრებმა ვარჯიში, როგორც წესი, მოთელვით დაიწყო. მერე მოედნის ორივე ფრთაზე **ტიმ ლეინმა** გუნდი ბოჭვაში ავარჯიშა, ერთი შეხედვით უინტერესო სათამაშო კომპონენტის ვარჯიში ლეინმა მრავალფეროვანი და საინტერესო, სხვადასხვა სიტუაციების კომბინირებით გახადა.

მერე მწვრთნელმა გუნდის სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა დაცვაში თამაშში ავარჯიშა. რაკიდან და შერკინებიდან ბურთი „სათადარიგოებს" გამოჰქონდათ და მოწინააღმდეგის ხაზის გაჭრას ცდილობდნენ. მერე როლები გაიცვალა და ძირითადი უტევდა, დანარჩენი კი მათ შეჩერებას ცდილობდა. ძირითადი გუნდი ასე გამოიყურებოდა: 15-9: **ბარკალაია, შკინინი, გიგაური, დ. კაჭარავა, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი, აბუსერიძე;** 1-8: **შველიძე, ნატრიაშვილი, ფეიქრიშვილი, დათუნაშვილი, უჩავა, მაისურაძე, ბასილაია, ურუშაძე.**

ამის შემდეგ ლეინმა გუნდი ორად გაჰყო. შერკინება **ლევან ცაბაძეს** და **ვიქტორ დიდებულიძეს** დაუთმო, რომლებმაც ბიჭები დერეფანში თამაშში ავარჯიშეს. ავსტრალიელებმა კი უკანახაზელები დაიმარტოხელა და ხელდახელ თამაშში წვრთნიდა, დასასრულს კი მედიასთან ბრიფინგი გამართა:

**ტიმ ლეინი:** - სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. ვფიქრობ, თავიდან ძალიან გაგვიჭირდება. მოკლე პერიოდში ცხადია ყველა ხარვეზის აღმოფხვრა ვერ მოხერხდება. ჩვენი მიზანი საკმაოდ გრძელვადიანია. მინიმუმ ერთი წელიწადი დამჭირდება, რათა გუნდი იმ კონდიციებამდე მივიყვანო, მე რომ მინდა. პორტუგალიელების თამაში არ მინახავს. არ ვიცნობ ამ გუნდს. სამაგიეროდ, მორაგბეები იცნობენ კარგად და მათი პლუს-მინუსები საიდუმლო არაა. ამასთან, ვიდეოფირსაც ვნახავთ და გავაანალიზებთ.

დღეს ბევრი ახალი, საინტერესო მოთამაშე ვნახე. ახალ კომბინაციებს ბევრი იოლად ითვისებდა, ზოგიერთს უჭირდა. სანამ ყველას თამაშში არ ვნახავ ძნელია, მარტო ვარჯიშით შეაფასო. ვარჯიშზე ყველაფრის კეთება ადვილია, როცა ხელს არავინ გიშლის. თამაშისას ყველაფერი ნათლად გამოჩნდება. შემადგენლობის გარდა, გუნდში სხვაც ბევრი სიახლეები გვექნება. ვეცდებით ბევრი სიახლე დავნერგოთ, თუმცა ეს ორ-სამ დღეში ვერაფრით მოხერხდება.

**ირაკლი აბუსერიძე** (კაპიტანი): - პორტუგალიასთან თამაში მაშინაც გვიჭირდა, როცა სრული შემადგენლობით ვიკრიბებოდით. ახლა მით უმეტეს ურთულესი ბრძოლა გვექნება. თუმცა, ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს. ყველაფერს რომ დავანებოთ, პრესტიჟის საქმეა - მსოფლიო თასის შემდეგ პორტუგალიას შინ აუცილებლად უნდა მოვუგოთ. თუ არ ვცდები, ამ გუნდის შემადგენლობაშიც გარკვეული ცვლილებებია. წინასწარი ინფორმაციით ძირითადის რამდენიმე მოთამაშე ჩამოსვლას ვერ ახერხებს. ყველაფერი 2 თებერვალს, მოედანზე გამოჩნდება.

**ბესიკ ხამაშურიძე:** - მიმაჩნია, რომ დღესდღეობით პორტუგალიის ნაკრები უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე რუმინეთისა. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთში, მსოფლიო თასზე ასე გამოჩნდა. როგორც ყოველთვის ძნელი ბრძოლა გვექნება, მაგრამ მაინც მოვიგებთ.

**გოდერძი შველიძე:** - მართალია დრო ბევრი არ გვაქვს, მაგრამ რაცაა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა ახალი მოთამაშეები უმტკივნეულოდ შეერწყან გუნდს. თუ ეს მოხერხდა, პორტუგალიასთან პრობლემა წესით არ უნდა გვქონდეს.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვიქტორ დიდებულიძე, ლევან ცაბაძე, ტიმ ლეინი




ვიქტორ დიდებულიძე





გიორგი ჩხაიძე





კაპიტანი ირაკლი აბუსერიძე

ულების თასი.
მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

# მარკოიშვილს ბელგიაში ელიან

იტალიის, ბულგარეთის, გერმანიის, ლატვიისა და საფრანგეთის შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილს** ბელგიაში მოუწევს მოგზაურობა - მის „კიევს" ულების თასის მეთექვსმეტედფინალურმა წილისყრამ მეტოქედ ბელგიის ქალაქ ოსტენდეს „ტელინდუსი" არგუნა. ბარსელონაში გამართული წილისყრის შედეგად უკრაინელებს სავარაუდო მეტოქეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი შეხვდათ. „ტელინდუსისა" და „კიევის" კალათაში მოქცეულები იყვნენ რუსული „უნიქსი", ფრანგული „ვილერბანი", უკრაინული „აზოვმაში", სერბული „ჰემოფარმი" და მეორე სერბული კლუბი „ცრვენა ზვეზდა".

„ტელინდუსის" სახელი მოკრძალებულად ზემოთჩამოთვლილ კლუბებს შორის ჩანს, თორემ, რადგან მეთექვსმეტედფინალის საგზური მოიპოვა, ხელწამოსაკრავი კლუბი არ უნდა იყოს. მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელებს ბელგიაში თამაშისას სერიოზული ყურადღება მართებთ, რადგან ოსტენდელებმა ჯგუფურ ეტაპზე მოსკოვის „დინამოც" დაამარცხეს (შინ), ბოლონიის „ფორტიტუდოც" (სტუმრადაც და შინაც), საბერძნეთის „პანელინიოსიცა" და „ცრვენა ზვეზდაც" (სტუმრად).

ულების თასის ოფიციალურ საიტზე „კიევი"-„ტელინდუსის" შანსების განხილვისას აღნიშნულია, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წყვილია, რადგან ბელგიელებსაც და უკრაინელებსაც ის მწვრთნელები ხელმძღვანელობენ, რომლებსაც ულების თასი ერთხელ უკვე აქვთ მოგებული. შეგახსენებთ, რომ „კიევის" დამრიგებელმა ტომო მაჰორიჩმა ეს ტიტული ორი წლის უკან ლიტვის „რიტასში" მუშაობისას მოიპოვა.

წილისყრის შემდეგ **ტომო მაჰორიჩის** კომენტარი ასეთი იყო: *„შეიძლება ზოგიერთს მიაჩნია, რომ წილისყრისას გაგვიმართლა, მაგრამ რეალურად „ტელინდუსი" იოლი მეტოქე არ არის. ოოსტენდელებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს, უკან მოიტოვეს ბოლონიის „ფორტიტუდო" და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა". არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბელგიის ამ კლუბმა მოსკოვის „დინამოც" დაამარცხა და მას გამოცდილი სპეციალისტი შარონ დრუკერი ხელმძღვანელობს. მერვედფინალში გასვლის შანსი რომელ კლუბს უფრო მეტი აქვს? ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, რადგან ფლეი ოფში ფავორიტ-აუტსაიდერი არ არსებობს. გაიმარჯვებს ის, რომელიც კონკრეტულ შეხვედრას უკეთ მომზადებული შეხვდება და ვისაც ნაკლები ტრავმირებული ეყოლება."*

ბოლოს, მომავალი შეხვედრების განრიგსაც გაგაცნობთ: 19 თებერვალს „ტელინდუსი"-„კიევი" ოოსტენდეში ითამაშებენ, ხოლო განმეორებით მატჩს კიევი 26 თებერვალს უმასპინძლებს. ამ წყვილში გამარჯვებული მერვედფინალში „ტუროვი" (ბელორუსი)-„ნიმბურკს" (ჩეხეთი) შორის საუკეთესოს შეხვდება. ხოლო თუ „კიევმა" ნახევარფინალამდე მიაღწია, შეიძლება ულების თასის ერთ-ერთ ფავორიტ მოსკოვის „დინამოს" დაუპირისპირდეს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**





საქართველოს ნაკრები

# როდის გვეყოლება მწვრთნელი?

**ბესიკ ლიპარტელიანი: კანდიდატები გვყავს. 16 თებერვალს წილისყრაა, ვეცდებით, საქმე არ გაჭიანურდეს**

საქართველოს ნაკრებიდან მთავარი მწვრთნელის, **კენ შილდსის** წასვლის შესახებ ჯერ კიდევ შარშან გაცნობეთ. ნოემბრის შემდეგ კალათბურთის ფედერაცია ახალი სპეციალისტის მოძიებაზე მუშაობს, ჟურნალისტები ამ საკითხზე ვმსჯელობთ, ხოლო ქომაგი - ელის.

ალბათ, ყველას აინტერესებს ვინ გაწვრთნის სექტემბრის მატჩებში ეროვნულ ნაკრებს და როდის დაინიშნება იგი გუნდის თავკაცად. სწორედ ამ საკითხების გასარკვევად კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, **ბესიკ ლიპარტელიანს** ვესტუმრეთ.

წინასწარ გეტყვით, სავარაუდო პასუხი მხოლოდ მეორე კითხვაზეა, ხოლო ვინ იქნება კენ შილდსის შემცვლელი, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ბატონმა ბესიკმა განგვიმარტა, რომ სადღეისოდ გარკვეულია იმ მწვრთნელთა ვინაობა, ვინც შეიძლება ნაკრებს სათავეში ჩაუდგეს, მაგრამ ეს მხოლოდ კალათბურთის ფედერაციის მხრიდანაა გარკვეული. რას იტყვიან ის სპეციალისტები ქართველთა შეთავაზებაზე, ჯერჯერობით უცნობია.

**„ერთი-ორ მწვრთნელს დავურეკეთ და საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა შევთავაზეთ, მაგრამ მათგან მხოლოდ შეკითხვები მივიღეთ - ვინ არიან მეტოქეები და როდის იწყება შესარჩევი ეტაპი? ამ კითხვებზე პასუხი არც ჩვენ გვაქვს, რადგან B დივიზიონის წილისყრა 16 თებერვალს არის დანიშნული. სწორედ ამ დღეს გაირკვევა ვისთან მოგვიწევს ბრძოლა და როდის გაიმართება შესარჩევი ციკლის მატჩები."** - გვითხრა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა.

მანვე განგვიმარტა, რომ ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებს სერიოზულად 16 თებერვლის შემდეგ დაელაპარაკებიან და რაც შეიძლება მოკლე დროში ეცდებიან საქმისთვის თავის დადგმას.

ასე რომ, ჩვენც მოგვიწევს შუა თებერვლამდე მოცდა იმის იმედით, რომ მარტში ეროვნულ გუნდს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი ჩაუდგება სათავეში. ნაკრების მომავალი თავკაცის კვალიფიკაციაზე **ბესიკ ლიპარტელიანს** ასეთი მოსაზრება აქვს: **„ვეძებთ ევროპაში საშუალოზე მაღალი დონის მწვრთნელს, ისეთს, რომლის კლასიც ფაჩულია-ცქიტიშვილი-ბოისას და დანარჩენების შესაფერისი იქნება. ჩვენთვის სასურველი კანდიდატურის შერჩევა იოლი ნამდვილად არ არის, რადგან ყველა ძლიერი მწვრთნელი კლუბშია დასაქმებული და საკითხავია, მოიცლის თუ არა ნაკრებში სამუშაოდ. დანარჩენს 16-ის შემდეგ გეტყვით."**

**ვაჟა სიმონიშვილი**



მანუჩარ მარკოიშვილი






# ნაიკითხეთ და პიომბინო შეგეცოდებათ

გასულ კვირას **ნიკა მეტრეველის** მიერ „მონტეპასკის" 19-წლამდელთა გუნდში ჩატარებულ ორ მატჩზე გესაუბრეთ. მან ერთში 12 ქულა ჩააგდო, მეორეში - 18. მესამე მატჩი ნიკამ „მონტეპასკის" 17-წლამდელებში ჩაატარა და, ლოგიკურად შედეგიანობა უნდა გაეზარდა. ასეც მოხდა - ქართველმა ცენტრმა „პიომბინოს" 23 ქულა ჩაუგდო და მატჩის სნაიპერი გახდა. შეიძლება, „მონტეპასკის" მეტოქე „პიომბინო" შეგეცოდოთ, თუ ვიტყვით, რომ მისმა 9 კალათბურთელმა 40 წუთში მეტრეველზე მხოლოდ 12 ქულით მეტი ჩააგდო და საშინაო მატჩი 35:111 წააგო. სიენელები ბოლო პერიოდის წინ 77:22 იგებდნენ.

მასპინძელთაგან ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ მოახერხა 10-ქულიან ზღვარს გადაბიჯება. ხოლო „მონტეპასკიში" მეტრეველს 4 ქულით ჩამორჩა იანუცი (19 ქულა).

ისევე როგორც „მონტეპასკის" 19-წლამდელები, იტალიის ჩემპიონატში 17-წლამდელებიც წაუგებლად თამაშობენ და სატურნირო ცხრილის სათავეში არიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ

# ცისფერი კორტი, ცუდი მსაჯობა და NOLE...

## შთაბე□დილებები დიდი სლემის პირველი ჩემპიონატისგან

ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მოვლენებით მდიდარი და სანახაობრივი გამოვიდა. მოთამაშეებმა ათობით ლამაზი მატჩი გვაჩუქეს, ამინდიც ჩოგბურთელთა მხარეს იყო - წვიმის გამო თამაშები თითქმის არ შეწყვეტილა და არც ჩვეულ ავსტრალიურ სიცხეს გაუნამებია სპორტსმენები. მოდით გავიხსენოთ ტურნირის ყველაზე საინტერესო მომენტები.

### ტურნირის სიახლე

**კორტების ცისფერი ფერი.** წელს, "მელბურნ-პარკის" კორტებმა შეფერილობა შეიცვალა და ორგანიზატორებმა ტრადიციული მწვანის ნაცვლად, ცისფერი ფერი შემოგვთავაზეს. გარდა ამისა, ახალი იყო თავად კორტის საფარიც. საერთო ჯამში, ჩოგბურთელთა უმრავლესობამ სიახლე მოიწონა - ეს ეხება როგორც კორტის საფარს, ასევე მის ფერს.

### ტურნირის ნაკლი

**მსაჯობა.** საკმაოდ ბევრ მატჩში მსაჯების მოქმედება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. ხაზის არბიტრების მხრიდან ძალიან ბევრი შეცდომა დაფიქსირდა **როჯერ ფედერერისა** და **იანკო ტიპსარევიჩის** მატჩში. **ჯეიმს ბლეიკი მარინ ჩილიჩთან** შეხვედრაში ტურნირის მთავარ მსაჯს ეჩხუბებოდა - ხაზის ერთ-ერთი მსაჯი შეცვალეთო. ანალოგიურ პრობლემასთან დაკავშირებულ ორ ინციდენტს ჰქონდა ადგილი **ანა ივანოვიჩთან** მიმართებაში. პირველ წრეში, მსაჯობით უკმაყოფილო სერბმა ხელი არ ჩამოართვა მთავარ არბიტრს, ხოლო ნახევარფინალში მსაჯები აშკარად ანას სასარგებლოდ შეცდნენ. ივანოვიჩმა შეაჩერა ერთ-ერთი გათამაშება, რათა "მახვილი თვალით" გადაემოწმებინა, ჩავარდა თუ არა მისი მეტოქის, **დანიელა ჰანტუხოვას** დარტყმული კორტში. Hawk-eye-მ აჩვენა, რომ ჰანტუხოვა ზუსტი იყო. მსაჯმა კი, იმის ნაცვლად, ქულა სლოვაკი ჩოგბურთელისთვის მიენიჭებინა, გადათამაშება დანიშნა, არადა, ეს მატჩის კულმინაციური მომენტი იყო. და მთავარი - მამაკაცთა ფინალში **ჟო-ვილფრედ ცონგამ** ასევე არ ჩამოართვა ხელი მთავარ მსაჯს. გარდა იმისა, რომ ფრანგი არბიტრის რამდენიმე გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა, ის აგრეთვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მხრიდან დროის გაყვანის გამო და მსაჯის ამაზე რეაგირებას თხოვდა.

თავად Hawk-eye-ის სისტემაც არ იყო გამართული. ხანდახან ის საათობით გამოდიოდა მწყობრიდან, მზის სპეციფიკური განათების გამო.

### ტურნირის ცათამბჯენები

**ისნერისა და კარლოვიჩის დუეტი.** ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** (208 სმ) და ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** (206 სმ) ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე მაღალი დუეტი შექმნეს, მაგრამ წყვილთა თანრიგში მათი თანამშრომლობა პირველივე წრეში დასრულდა.

### ზეიმი ისრაელში

**გამარჯვება წყვილთა თანრიგში.** ისრაელს პირველი გამარჯვებული ჰყავს "დიდი სლემის" ტურნირზე. **ენდი რამისა და ჯონათან ელრიხის** დუეტმა მამაკაცთა წყვილების ფინალში ფრანგული ტანდემი - **კლემანი-ლოდრა** დაამარცხა 7:5, 7:6.

### ელენეების რისხვა

**მარია შარაპოვა.** ქალებს შორის ტრიუმფატორ **მარია შარაპოვას** "დიდი სლემის" მესამე ტიტულის მოსაპოვებლად ოთხი **ელენას** დამარცხება დასჭირდა: **ელენ კოსტანიჩ-ტოშიჩი, ელენა ვესნინა, ელენა დემენტიევა** და **ელენა იანკოვიჩი.**

### რკინის ხასიათი

**ელენა იანკოვიჩი.** მსოფლიოს მესამე ჩოგან ელენა იანკოვიჩს პირველივე წრეში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ავსტრიელი **ტამირა პაჩეკის** მხრიდან. ამ უკანასკნელს სამი მატჩ-ბოლი ჰქონდა. საბოლოოდ, იანკოვიჩმა ბოლო პარტია 12:10 მოიგო და ამის შემდეგ, ნახევარფინალში გააღწია.

### დაუნდობელი მამაკაცები

**მშრალი სეტების წვიმა.** წლევანდელ ჩემპიონატზე, მამაკაცებს შორის უჩვეულოდ ბევრი "მშრალი" ანგარიში - 6:0 დაფიქსირდა. მთელი ტურნირის განმავლობაში 22-ჯერ დასრულდა სეტი ამ შედეგით.

### მოულოდნელი სტუმარი

**ჟო-ვილფრედ ცონგა.** ფედერერის, **ნადალისა** და ჯოკოვიჩის გვერდით ნახევარფინალში ჟო-ვილფრედ ცონგას გამოჩენა ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო. ჟო, რომელიც ძალიან ჰგავს ლეგენდარულ მოკრივეს **მუჰამედ ალის**, ნახევარფინალისტობით არ დაკმაყოფილდა, ძალიან იოლად გაუსწორდა როლან გაროსის სამგზის ჩემპიონ რაფაელ ნადალს და "დიდი სლემის" ტურნირის ფინალში გავიდა. თანაც ეს იყო მისი პირველი ფინალი ATP-ის ტურში. გარდა ამისა, ავსტრალიის ღიაზე ფრანგმა იმაზე მეტი თანხა გამოიმუშავა, ვიდრე მთლიანად კარიერის წინა წლებში.

### სლავური დომინირება

**ქალთა ნახევარფინალის მონაწილენი.** ქალთა ტურნირში ყველა ნახევარფინალისტი სლავური ქვეყნების წარმომადგენელი იყო: ორი სერბი, თითო-თითო სლოვაკი და რუსი.



ჯოკოვიჩების ოჯახი

### ეროვნული გმირი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი.** მომავალში, სერბეთში, ალბათ, 27 იანვარი კალენდარში წითლად იქნება აღნიშნული. სწორედ ამ დღეს მოიგო ჯოკოვიჩმა ცონგასთან ფინალი და გახდა პირველი სერბი, ვინც "დიდი სლემის" ტურნირებზე გაიმარჯვა. მატჩის შემდეგ, სერბი ფანატები ბელგრადის ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბნენ და მთელი დღე ზეიმობდნენ.

### საუკეთესო მხარდამ□ერი ჯგუფი

**ჯოკოვიჩის ოჯახი.** ჯოკოვიჩის ოჯახის წევრებს ტურნირის დროს მაისურებზე თითო ასო ეწერათ: N - მამას, O - დედას, L - **მარკოს** და E - **ჯორჯეს** (ნოვაკის ძმები). ერთად გამოდიოდა ნოვაკის მეტსახელი - NOLE. როცა ოჯახის წევრები ფეხზე წამოიშლებოდნენ, წარწერა მაისურებზე ძალიან ეფექტურად გამოიყურებოდა.

### ავსტრალიური ზღაპარი

**კეისი დელაკუას გარღვევა.** ჩოგბურთელი, რომელიც მანამდე ITF-ის მოკრძალებულ ტურნირებზე თამაშობდა, ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. **კეისი დელაკუამ** მერვედფინალამდე მიაღწია და გზად ორი აღიარებული ოსტატი - **პატი შნიდერი** და **ამელი მორესმო** დაამარცხა.

### ჩემპიონებთან დამარცხებული ლიდერები

**ჟუსტინ ანენი და როჯერ ფედერერი.** უბედური შემთხვევაა, როცა არცერთ პირველ ჩოგანს ფინალში არ უთამაშია. ერთმაც და მეორემაც ტურნირის მომავალ ჩემპიონებთან წააგეს, თუმცა ჟუსტინსაც და როჯერსაც რეიტინგში ისეთი ფორა აქვთ, რომ მათ ლიდერობას კარგა ხანი არაფერი ემუქრება.

### ტელევიზიის თავსატეხი

**ფერერისა და ფერეროს მატჩი.** თითქმის ერთნაირი გვარის მქონე ჩოგბურთელთა შეხვედრამ, ტელეტრანსლიაციების გრაფიკოსები ჩააფიქრა, რომლებიც ტელეტაბლოზე მოთამაშეების პირველ სამ ასოს წერდნენ. ამ შემთხვევაში, ამ ორ გვარს შორის განსხვავება მხოლოდ მეშვიდე ასოდან იწყება. მაგრამ ორგანიზატორებმა გამოსავალი იპოვნეს და **ხუან-კარლოს ფერერო** ინიციალების დაწერეს - JCF.

### ვარსკვლავები ტრიბუნებზე

**ნიკოლ კიდმანი, სტინგი...** რიგითი გულშემატკივრების გარდა, როდ ლეივერის არენაზე ცნობილი ადამიანებიც ჩნდებოდნენ. მაგალითად, ჯოკოვიჩისა და **ლეიტონ ჰიუიტის** მატჩის სანახავად გასუქებული **ნიკოლ კიდმანი** (მალე დედა გახდება) მივიდა. ფინალური მატჩის დროს კი, რეჟისორები ხშირად გვიჩვენებდნენ ცნობილ მომღერალ **სტინგს.**

### არეულობა ტურნირზე

**ცრემლსადენი გაზი.** **ფერნანდო გონსალესსა** და **კონსტანტინოს ეკონომიდისს** შორის პირველი წრის შეხვედრისას, პოლიციამ ჩათვალა, რომ ერთ-ერთი ბერძენი გულშემატკივარი ზედმეტად გამომწვევად იქცეოდა და მისი ცრემლსადენი გაზით "დაწყნარება" სცადა. ზოგიერთმა ჩოგბურთელმა კრიტიკულად შეაფასა სამართალდამცავთა ეს მოქმედება. ქალთა შორის ფინალისტმა ანა ივანოვიჩმა განაცხადა, რომ პოლიციელმა უფლებამოსილებას გადაამეტა.

### ტურნირის ჟესტი

**იური შარაპოვი.** შარაპოვასა და ანენის მატჩის დროს, რუსი ჩოგბურთელის მამამ არაორაზროვანი ჟესტი გააკეთა - მან კისერზე გაისვა ხელის გაშლილი მტევანი. მარიამ მოგვიანებით ახსნა: ეს მხოლოდ და მხოლოდ ოჯახური ჟესტია და იმას არ ნიშნავს, რაც თქვენ იფიქრეთო. თუმცა, უკრაინელი მწვრთნელი **ვლადიმერ კამელზონი** აღშფოთებას ვერ მალავდა **იური შარაპოვის** საქციელის გამო: *"ანენთან მატჩის დროს, ის საოცრებებს ჩადიოდა ტრიბუნაზე. მას ცუდად აცვია, საშინლად იქცევა. რაღაცით დარაჯს მაგონებს".*

### ტურნირის მშვენება

**გლამურული დუელები.** ქალი ჩოგბურთელები ხშირად ახარებდნენ გულშემატკივრებს თავიანთი სექსუალური კაბებით. რამდენიმე მატჩს თამამად შეიძლება ვუწოდოთ "გლამურული დუელები", როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა შორის პოპულარული ქალბატონები. მამაკაცებს თვალი აქეთ-იქით გაურბოდათ, როცა თვალს ადევნებდნენ შემდეგ მატჩებს: კირილენკო-ჰანტუხოვა, ჰანტუხოვა-ივანოვიჩი, შარაპოვა-დემენტიევა, შარაპოვა-ივანოვიჩი...



ჩოგბურთზე სტინგიც დადიოდა

### ავსტრალია ციფრებში

ამერიკული დოლარის კურსის ვარდნის გამო, ქალთა და მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულებმა ტურნირის ისტორიაში სარეკორდო ჰონორარები მოიხვეჭეს. წელს, 1.37 მილიონი ავსტრალიური დოლარი 1 197 739 ამერიკულ დოლარს გაუტოლდა.

■ ■ ■

17 იანვარს, "დიდი სლემის" ტურნირების რეკორდი დაფიქსირდა - ერთი სათამაშო დღის განმავლობაში ტრიბუნებს 62 885 მაყურებელმა მიაშურა, რაც შესამჩნევად აღემატებოდა წინა სარეკორდო მაჩვენებელს, რომელიც 2007 წლის 1 სექტემბერს, აშშ-ის ღია პირველობაზე დაფიქსირდა (61 083). სულ კი, ორი კვირის განმავლობაში "მელბურნ-პარკის" კორტებმა 605 735 გულშემატკივარს უმასპინძლეს და ესეც რეკორდია, ოღონდ ავსტრალიის ღია პირველობისთვის (შარშან - 550 550).

■ ■ ■

მესამე წრის მატჩი ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტსა** და კვიპროსელ **მარკოს ბაღდატისს** შორის მაშინ დაიწყო, როცა შუაღამის 12 საათს 8 წუთი აკლდა. შეხვედრა დილის 4 საათსა და 33 წუთზე დასრულდა და ალბათ, ეს იქნება მუდმივი რეკორდი საჩოგბურთო მატჩის ყველაზე გვიან დასრულების მხრივ. ამ ჩოგბურთელების ასე გვიან კორტზე გასვლა იმით იყო განპირობებული, მანამდე, ასევე მარათონული დაპირისპირება ჰქონდათ შვეიცარიელ **როჯერ ფედერერსა** და სერბ **იანკო ტიპსარევიჩს.** ეს შეხვედრა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა. ორგანიზატორებმა უარი თქვეს მომდევნო მატჩის გადადებაზე და ჰიუიტსა და ბაღდატისს კორტზე გასვლა მოუწიათ.

■ ■ ■

ნახევარფინალში ფედერერის დამარცხების შემდეგ, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** შეწყვიტა შვეიცარიელი ჩოგბურთელის უპრეცენდენტო სერია - მანამდე როჯერი "დიდი სლემის" ზედიზედ ათი ტურნირის ფინალში თამაშობდა (2005 წლის უიმბლდონიდან მოყოლებული).

■ ■ ■

**მარია შარაპოვამ** მეოთხედფინალში ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** დაამარცხა და შეწყვიტა ამ ჩოგბურთელის 32-მატჩიანი მოგებათა სერია. ანენს გასული წლის აგვისტოს შემდეგ არ ჰქონდა წაგებული მატჩი.

■ ■ ■

სერბეთის წარმომადგენლებმა ეროვნული რეკორდი დაამყარეს "დიდი სლემის" ერთ კონკრეტულ ტურნირზე გამოსვლის ეფექტურობით - ნოვაკ ჯოკოვიჩის გამარჯვება, **ანა ივანოვიჩის** ფინალში გასვლა და ამ ქვეყნის ექვსი მოთამაშის 25 ჩატარებული მატჩიდან 20 მოგება (80 პროცენტი). მთავარ უიღბლოებად კი, რუმინელები შეიძლება მივიჩნიოთ - ქვეყნის ექვსი მოთამაშიდან მხოლოდ ერთმა გააღწია მეორე წრეში.

■ ■ ■

მამაკაცთა შორის ფინალისტმა **ჟო-ვილფრედ ცონგამ** მთელი ტურნირის განმავლობაში ზუსტად 100 ეისი შეასრულა. მან მხოლოდ გადამწყვეტ მატჩში შეძლო მანამდე ამ კომპონენტში ლიდერის, როჯერ ფედერერის (91) გასწრება. ქალებს შორის ამ ნომინაციაში **სერენა უილიამსმა** გაიმარჯვა - 40 ეისი, მაგრამ არა 7, არამედ 5 მატჩში. ჩემპიონმა შარაპოვამ კი, მეორე შედეგი აჩვენა - 26.

■ ■ ■

ყველაზე ძლიერი მოწოდება შეასრულა ამერიკელმა **ენდი როდიკმა** - 237 კილომეტრი საათში, ქალებში სერენა უილიამსმა - 199 კილომეტრი საათში.

■ ■ ■

ტურნირში მონაწილეობას იღებდა მამაკაცთა შორის "დიდი სლემის" ტურნირების რვა, ხოლო ქალებს შორის - შვიდი ჩემპიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი 2008

# წყლის კუბი მზადაა

პეკინში ოფიციალურად გაიხსნა სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ცენტრი, მეტსახელად "წყლის კუბი", რომელსაც მიმომხილველები პეკინის ოლიმპიადის ერთ-ერთ გამორჩეულ სახედ მიიჩნევენ.

მათკუთხა ფორმის ცისფერი შენობა, რომელიც ყველა მხრიდან ერთგვარი საპნის ბუშტების ფორმის სეგმენტებისგან შემდგარი შრითაა დაფარული, პეკინის ოლიმპიადის დროს, ცურვის, წყალში ხტომების, წყალბურთისა და სინქრონული ცურვის ტურნირებს უმასპინძლებს.

კომპლექსის მშენებლობა 1.03 მილიარდი იუანი (დაახლოებით 200 მილიონი დოლარი) დაჯდა. მართალია, შენობა საექსპლუატაციოდ უკვე მზადაა, მაგრამ მის მშენებლებს ჯერაც არ დაუსრულებიათ გარე შრის, ბუშტუკების ჰაერით ავსება.

"წყლის კუბი" მეტწილად კერძო შემოწირულობათა წყალობით აშენდა. მისთვის თანხას მსოფლიოს ყველა ჩინელისგან აგროვებდნენ. ჰონ კონგელმა მიდიარდერმა **ჰენრი ფოკმა** კი თავისი ბიუჯეტიდან 25 მილიონი დოლარი გაიღო.

"წყლის კუბი" ავსტრალიელი სპეციალისტების მიერაა დაპროექტებული. მისი შემუშავებისას, მათ უძლავრესი, ულტრათანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენეს, რომლის გარეშეც, ბუშტუკების დაპროექტება შეუძლებელი იქნებოდა.

შენობის გარე შრე დამზადებულია ტეფლონის მსგავსი მასალისგან (ETFE – ეთილენ-ტეტრაფლუორეთილენი). შრე ბუშტის ფორმის სტრუქტურებისგან შედგება, რომელთა წყალობითაც, შენობა ერთგვარ სათბურთს ემსგავსება. გახსნის ცერემონიის დროს, ამ ბუშტუკებს აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი განმენდას საჭიროებდნენ – ამის მიზეზი კი პეკინის ბინძური ჰაერია.

"წყლის კუბი" პეკინის ოლიმპიურ სოფელში, მთავარი ოლიმპიური სტადიონის (რომლის მეტსახელია "ჩიტის ბუდე") გვერდით მდებარეობს. საწყლოსნო კომპლექსის ტრიბუნაზე 6 000 მუდმივი და 11 000 დროებითი ადგილია.

საწყლოსნო კომპლექსის გარე შრეს მარტო დეკორატიული დანიშნულება არ აქვს – ეს მეტისმეტი ფუფუნება იქნებოდა ჩინელებისთვისაც კი, რომლებიც ოლიმპიადისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, 40 მილიარდ დოლარს ხარჯავენ. როგორც პროექტის ავტორები ამბობენ, ამ შრის წყალობით, ზაფხულში შენობის შიგნით სიგრილე შენარჩუნდება, ზამთარში კი ეს შრე მზის სხივებს სითბოდ გარდაქმნის.

ჩინურ სამშენებლო კომპანია "ჩაინა კონსტრაქშნ დიზაინს ინტერნეიშნლის" მთავარი არქიტექტორი **ჭან ფანი** ირწმუნება, რომ შენობის სახურავს გარედან განმენდა პრაქტიკულად არ დასჭირდება – ამას წვიმა ბუნებრივად გააკეთებს, ჩიტები კი სახურავს თავიანთი ექსკრემენტებით არ დააბინძურებენ, რადგან მათ გამჭვირვალე ზედაპირზე ჯდომა არ სჩვევიათ. შიგნიდან კი განმენდის გეგმიური სამუშაოები წელიწადში ორჯერ ჩატარდება.

"წყლის კუბი" პირველ სატესტო ტურნირს - ჩინეთის ღია ტურნირს ხუთშაბათს უმასპინძლებს. ოლიმპიადის დროს, ამ უნიკალურ შენობაში მედლების 42 კომპლექტი გათამაშდება. ორგანიზატორები ამბობენ, რომ ოლიმპიადის შემდეგ, საწყლოსნო კომპლექსის ნაწილი მრავალმხრივი დანიშნულების გასართობ ცენტრად გადაკეთდება. აქ განთავსდება დასასვენებელი კომპლექსი, რომელშიც, საჩოგბურთო კორტების, აუზების, რესტორნების და ღამის კლუბების გარდა, სავაჭრო კომპლექსიც მოთავსდება. ამასთან, იმ მხარეს, საითაც მუდმივი ტრიბუნაა განლაგებული, კვლავ ტურნირების ჩასატარებლად გამოიყენებენ.

რაც შეეხება მის გვერდით მდებარე "ჩიტის ბუდეს", რომელიც 91 000 მაყურებელს დაიტევს, მისი მშენბლობა მარტში დასრულდება. სულ, პეკინის ოლიმპიადაზე 37 კომპლექსს გამოიყენებენ. აქედან 31 პეკინში, ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობს. აფროსნობის და ცხენოსნობის ტურნირები პეკინში არ ჩატარდება. ცხენოსნების შეჯიბრებს ჰონ კონგი უმასპინძლებს, რამდენიმე საფეხბურთო მატჩიც პეკინის გარეთ ჩატარდება.



### "წყლის კუბთან" დაკავშირებული ხუთი საინტერესო ფაქტი:

საწყლოსნო კომპლექსის მშენებლობა 2003 წლის 24 დეკემბერს დაიწყო, ოლიმპიადის ორგანიზატორებს კი 2008 წლის 28 იანვარს ჩაბარდა.

შენობას 80 000 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. მასში მოთავსებულია ერთი საშეჯიბრო აუზი, ერთი წყალხტომის აუზი და ერთი სავარჯიშო აუზი. კომპლექსის ტრიბუნაზე 17 000 ადგილია, რომელთაგან მხოლოდ 6 000 არის მუდმივი, დანარჩენი 11 000 კი – დროებითი.

კომპლექსის მშენებლობა 1.03 მილიარდი იუანი დაჯდა, ამ თანხის დაახლოებით 80 პროცენტი კი მთელი მსოფლიოს ჩინელებმა გაიღეს.

შენობის გარე კედლებზე განთავსებული ბუშტუკების მოყვანილობის სეგმენტების ზედაპირის საერთო ფართობი 100 000 კვადრატულ მეტრზე მეტია. სეგმენტები ეთილენ-ტეტრაფლუორეთილენისგანაა დამზადებული, რომელიც გამჭვირვალეა და რომლის დნობის ტემპერატურა 275 გრადუსია. მშენბლობის დროს გამოყენებულ იქნა 6 700 ტონა ფოლადის სტრუქტურა, რომელთა შესადუღებლადაც საჭირო გახდა 1 300 ტონა შესადუღებელი ღერო.

ოლიმპიადის დროს, "წყლის კუბში" მედლების 42 კომპლექტი გათამაშდება. ოლიმპიადისა და პარალიმპიური თამაშების შემდეგ, შენობის მხოლოდ მეოთხედი კვლავაც საწყლოსნო კომპლექსად დარჩება, დანარჩენი ნაწილი კი დასასვენებელ და გასართობ კომპლექსად გადაკეთდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი

## ტაუს მოთამაშეები ავარიაში მოყვნენ

ესპანური კალათბურთის ერთ-ერთი ლიდერის, "ტაუგრესის" ოთხმა კალათბურთელმა ავტოკატასტროფა განიცადა. ავტომობილში, რომელიც ტრასაზე ამობრუნდა, **უილ მაკდონალდი, ლუჩო ფერნანდესი, პიტ მაიკლი** და **სიმას იასაიტისი** ისხდნენ.

როგორც გაზეთი "მარკა" იტყობინება, კალათბურთელები სერიოზულ ტრავმებს გადაურჩნენ და მათ მხოლოდ მცირე დაზიანებები აღენიშნებათ.

"ტაუს" ხელმძღვანელობა პოლიციის გამოძიებას ელოდება, მაგრამ როგორც ჩანს, მოთამაშეებს კლუბის მხრიდან სანქციები არ ასცდებათ.

## დალასმა პარისი დაკარგა

რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში, "დალას მავერიქსის" სასტარტო ხუთეულის წევრმა **დევინ ჰარისმა** მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო. სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ დაზიანება არც ისე სერიოზულია, მაგრამ მცველს მაინც მოუწევს 2-3 კვირის გამოტოვება - წერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდი.

## აბდურ-რაჰიმი წასვლას არ აპირებს

"საკრამენტო კინგზის" ფორვარდმა **შარიფ აბდურ-რაჰიმმა,** მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო ამ სეზონში მხოლოდ რვა მატჩი ჩაატარა. მიუხედავად ამისა, ვეტერანი კალათბურთელი დიდი სპორტიდან წასვლას არ აპირებს და უკვე დაიწყო აღდგენითი პროცედურებში.

*"მსგავსი რამ თავშიც არ გამივლია. ნელ-ნელა დავიწყე კონდიციების აღდგენა და ვერ ვხედავ იმის მიზეზს, რომ კალათბურთი აღარ უნდა ვითამაშო"*, - აცხადებს აბდურ-რაჰიმი.

ჩოგბურთი

## კარატანჩევას ფედერაცია ემუქრება

ბულგარეთის ჩოგბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ მკაცრ სანქციებს გამოიყენებს **სესილ კარატანჩევას** მისამართით, თუ ეს უკანასკნელი ფედერაციის თასზე ბულგარეთის ნაკრების ღირსებას არ დაიცავს.

18 წლის ჩოგბურთელს მხოლოდ ახლა დაუმთავრდა დოპინგის გამოყენებისთვის მიღებული ორწლიანი დისკვალიფიკაცია და მას სურდა პირადი კარიერისთვის მიეხედა, რათა მალე დაეგროვებინა საჭირო სარეიტინგო ქულები. *"მიყვარს ჩემი ქვეყანა, მაგრამ გულშემატკვირებმა უნდა გამიგონ. ჩემი დაბრუნება იმაზე გაცილებით რთული ყოფილა, ვიდრე მე ვვარაუდობდი. ამიტომაც, უახლოესი კვირეები საკუთარი რეიტინგის გაუმჯობესებას უნდა დავუთმო"*, - განაცხადა ჩოგბურთელმა.

*"სესილს კონტრაქტი აქვს ფედერაციასთან და თავისი საქციელის გამო აუცილებლად დაისჯება. ნაკრებში თამაშზე უარის თქმა მას ოლიმპიადის მიღმა დარჩენად დაუჯდება"*, - ამბობს ბულგარეთის ქალთა ნაკრების კაპიტანი **დორა რანჯელოვა**.

შეგახსენებ, რომ საჩოგბურთო სამყარომ კარატანჩევა 2005 წლის როლან გაროსზე გაიცნო, როცა 15 წლის მოთამაშემ მეოთხედფინალამდე მიაღწია, ერთ-ერთი წინა ეტაპზე კი, ამერიკელ **ვენუს უილიამსს** მოუგო.

თხილამურებით რბოლა

## ოლიმპიური ჩემპიონი ციხეში

მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი, ცნობილი ფინელი მოთხილამურე **მიკა მიულიულა** სამ თვესა და 10 დღეს ციხეში გაატარებს. ასეთი განაჩენი გამოუტანა ფინურმა სასამართლომ ცნობილ სპორტსმენს, რომელიც მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დაისაჯა.

ინციდენტი გასული წლის ოქტომბერში მოხდა. პოლიციამ სამი დღის განმავლობაში ორჯერ გამოიჭირა ამ დარღვევით 38 წლის ყოფილი მოთხილამურე.

ჰოკეი



დიდი დაბრუნება

## სელიანე იხვებს შეუერთდა

**ტეემუ სელიანე** "ანაჰაიმ დაქსის" რიგებში დაბრუნდა. ეს ის გუნდია, რომელთაც ერთადაც სახელოვანმა ვეტერანმა შარშან სტენლის თასი მოიგო. ფინელმა ფორვარდმა "იხვებთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ხელფასის სახით 1.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს, სელიანემ კარიერის დასრულება გადაწყვიტა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ოფიციალურად არ გამოუცხადებია. ნახევარი წლის შემდეგ კი, გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა და მალე მოედანზე გამოჩნდება.

*"ბრაიან ბურკი ("ანაჰაიმის" გენერალური მენეჯერი) მოუთმენელი რომ ყოფილიყო და ჩემი დაბრუნება უფრო ადრე, მაგალითად ნოემბერში მოეთხოვა, მე დღეს აქ არ ვიქნებოდი. უზომოდ მიხარია ძველ გარემოში, მეგობრებთან დაბრუნება. თავიდან უბრალოდ ყინულზე სრიალი დაიწყე, რათა მეგრძნო, რამდენად ძლიერი იყო ჩემი მოტივაცია. ყოველდღიურად უკეთესად ვგრძნობდი თავს, რის შემდეგაც ჩემს აგენტს დავურეკე და ვთხოვე, "დაქსთან" მოლაპარკებები დაეწყო"*, - ამბობს ტეემუ სელიანე.

*"თუ მოთამაშემ გასულ სეზონში 48 შაიბა გაიტანა, ვერ ვხედავ იმის მიზეზს, რატომ უნდა ითამაშოს მან წელს უარესად. მართალია, მას დასაბრუნებლად რამდენიმე თვე ფიქრი დასჭირდა, მაგრამ მაინც მოხარულები ვართ ტეემუს ამ გადაწყვეტილების გამო"*, - ეს უკვე **ბრაიან ბურკის** სიტყვებია.

გასულ რეგულარულში გატანილ 48 გოლს, ტეემუმ 46 შედეგიანი პასიც დაუმატა და გუნდის საუკეთესო ბომბარიდირი გახდა. გარდა ამისა, მას ლიგაში ყველაზე მეტი - 25 შაიბა ჰქონდა გატანილი რიცხობრივი უპირატესობის დროს.

აქვე შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო შექმნილი "ანაჰაიმის" კიდევ ერთი ვეტერანის, გასული სტენლის თასის საუკეთესო მოთამაშის **სკოტ ნიდერმაიერის** გარშემოც. მანაც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტა დიდ ჰოკეიში დაბრუნება.

NHL. კვირის სამი ვარსკვლავი

## ლიგამ ალფრედსონი გამოარჩია

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ოტავა სენატორზის" კაპიტანი **დანიელ ალფრედსონი** დაასახელეს. შვედი ფორვარდის მთავარი დამსახურება ის გახლდათ, რომ მან სამშაბათს, "ტამპა ბეისთან" მატჩში შვიდი ქულა მოუტანა თავის გუნდს - სამი გოლი გაიტანა და ოთხ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა. "სენატორებმა" ის მატჩი 8:4 მოიგეს. ამით ალფრედსონი პირველი ჰოკეისტია 2003 წლის შემდეგ, ვინც ერთ მატჩში 7 ქულა მოიხვეჭა. უკანასკნელად ამის გაკეთება ცნობილმა ჩეხმა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** მოახერხა. სხვათა შორის, შვედი ჰოკეისტი 67 ქულით, წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირია.

კვირის მეორე ვარსკვლავის სტატუსი ერგო "ვაშინგტონის" რუს ფორვარდ **ალექსანდრ ოვეჩკინს**, რომელმაც სამ მატჩში 3-3 გოლი და შედეგიანი პასი მიითვალა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "კოლამბუსის" მეკარე **პასკალ ლეკლერი**. ის საშუალოდ მატჩში 1.0 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 96.8 პროცენტს იგერიებდა. ლეკლერმა ერთი შათაუტიც შეასრულა და ის ლიგის ლიდერია "მშრალი" მატჩების რაოდენობით - 8.

## კალათბურთი

დაბრუნება

# კრის უებერმა წარსული გაიხსენა

ბოლო დეკადის ერთ-ერთი საუკეთესო მძიმე ფორვარდი, მიმდინარე სეზონის სტარტიდან უმუშევარი **კრის უებერი** ბრუნდება იმ გუნდში, სადაც მისი დიდებული კარიერა დაიწყო და თუ მოთამაშის ასაკს გავითვალისწინებთ, ალბათ იქვე დასრულდება. კრის უებერი დღე-დღეზე "გოლდენ სტეიტ უორიორზს" შეუერთდება.

"მეომრებთან" 13-წლიანი განშორების შემდეგ უებერმა გუნდთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ძალაში შესვლასაც წინ მხოლოდ სამედიცინო შემოწმება უდგას.

უებერს ვარჯიში სამი კვირის წინ განუახლებია და სავარაუდოდ, ახალ "ძველ" კლუბს უკვე შაბათ დილით გასამართ შეხვედრაში შეუერთდება, როდესაც **დონ ნელსონის** ბიჭები შინ "შარლოტს" დაუხვდებიან. ნელსონი გამოცდილი მოთამაშისთვის სათამაშო დროის მიცემას ალბათ, ამ შეხვედრის მერე, ორმატჩიანი გასვლითი სერიისას ეცდება და უებერის მოედანზე გამოჩენას "ჰიუსტონ როკეტსთან" დაპირისპირებაში უნდა ველოდოთ.

*"კრისი ნებისმიერ დროს, ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ძალა იქნება. მერე რა, რომ იგი უთამაშებელია? მისი გამოცდილებისა და მონდომების მქონე პროფესიონალისთვის დაკარგულის მცირე დროში აღდგენა დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს"*, - მიაჩნია "გოლდენ სტეიტის" ერთ-ერთ ლიდერს, გამთამაშებელ **ბაირონ დევისს**.

სანდო წყაროებს თუ ვენდობით, ნელსონი უებერს ლატვიელი **ანდრის ბიედრინსის** შემცვლელად მოიაზრებს და ვეტერანს სათამაშო დროს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუზრდის, თუ კრისი უთამაშებლობის შემდეგ, თავს კარგად იგრძნობს.

"გოლდენ სტეიტის" ბოსი და გუნდის ყოფილი ვარსკვლავი, **კრის მულინი** თავიდან სკეპტიკურად იყო განწყობილი უებერისადმი, თუმცა დონ ნელსონთან საუბრის შემდეგ, მულინმა აზრი შეიცვალა და დღეს უკვე აცხადებს, რომ კრისის დარი გამოცდილი და მონდომებული მოთამაშე მის გუნდს მხოლოდ და მხოლოდ გააძლიერებს.

*"სიმართლე გითხრათ, კრისის ჩვენთან გადმოსვლას არასერიოზულად მივიჩნევდი. მისი ნიჭი და გამოცდილება დიდი პლუსი კი იყო, მაგრამ ეჭვს ბადებდა ის, რომ უებერის ყოფილმა გუნდმა, "დეტროიტ პისტონზმა" შარშანდელი, არცთუ ურიგო რეგულარულისა და პლეიოფის შემდეგ, მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივება არ მოისურვა. დონმა დამარწმუნა, რომ უებერს ჩვენთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია და ხელშეკრულების ძალაში შესვლას წინ თითქმის არაფერი უდგას"*, - ამბობს მულინი.

ნოემბრის შუა რიცხვების მერე, "გოლდენ სტეიტს" "ბოსტონ სელტიქსის" მერე, ლიგაში ყველაზე მეტი შეხვედრა აქვს მოგებული და გუნდი, რომელიც მთლიანად ბაირონ დევისზეა აგებული, გამოცდილი ვეტერანის დამატებით ზემძლავრ დასავლეთში კიდევ უფრო სახიფათო გახდება.

35 წლის უებერს ნელსონთან მუშაობისას "გოლდენ სტეიტში" კონფლიქტიც კი მოსვლია, თუმცა ნელსონის თქმით, მაშინ კრისი ახალგაზრდა, ზედმეტად ამბიციური ბიჭი იყო, რომელმაც წლების მერე გამოცდილება შეიძინა და დღეს, ბევრისთვის სამაგალითო მოთამაშედ ითვლება. შეგახსენებთ, რომ რეგულარულის ზედიზედ 6 წაგებით დაწყების შემდეგ, "გოლდენ სტეიტმა" მსროლელი **სტივენ ჯექსონის** მწყობრში ჩადგომითა და დაცვაში თამაშის გაუმჯობესებით, დასავლეთში საფლეიოფო კლუბთა მარაქაში შესვლა მოახერხა და ამ ეტაპზე 27 გამარჯვებითა და 18 წაგებით უკვე მეშვიდე პოზიციაზე იმყოფება.

თუ კრისი იოლად დაიბრუნებს საუკეთესო კონდიციებს, არც ისაა გამორიცხული, რომ დონმა, რომელიც ყველგან და ყოველთვის უამრავი ექსპერიმენტის ხარჯზე აღწევდა წარმატებას, უებერი ძირითად ხუთეულში **ალ ჰარინგტონის** ნაცვლად დააყენოს, ეს უკანასკნელი კი რეზერვში გადაისროლოს.

*"დარწმუნებული ვარ, უებერი ჩვენი ახალგაზრდა გუნდის ყველა წევრისთვის სამაგალითო პიროვნება იქნება"*, - მიაჩნია ნელსონს, რომლის ხელშიც უებერი 1993 წელს რეგულარულის საუკეთესო ახალბედა გახდა, "გოლდენ სტეიტმა" კი ფორვარდი "ორლანდო მეჯიქთან" დრაფტისას განხორციელებული გაცვლისას დაიმატა.

1994-ში კრისი ნელსონთან და რამდენიმე მოთამაშესთან კონფლიქტის გამო "ვაშინგტონში" გადაისროლეს, "უორიორზში" კი **ტომ გუგლიოტა** გადავიდა. მერე კრისი "საკრამენტოში" აღმოჩნდა, სადაც "მეფეები" ლიგის ერთ-ერთ გრანდად აქცია, ხოლო უკანასკნელი სეზონი კი მან "დეტროიტში" **რაშიდ უოლასის** შემცვლელად გაატარა. მერე და მერე იყო საუბარი, თითქოს კრისს კარიერა ბერძნულ "ოლიმპიაკოსში" უნდა გაერძელებინა, მაგრამ ევროპაში თამაში თავად კალათბურთელმა არ ისურვა.

კრის უებერ რეგულარულში საშუალოდ 20.9 ქულასა და 9.8 მოხსნას აგროვებდა. მის ანგარიშზეა ასევე 4.3 პასი, 1.5 ჩაჭრა და 1.6 დაფარება.

**ზურაბ თალაკვაძე**



## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**იუტა-სან ანტონიო 97:91**

27:19, 28:26, 21:21, 21:25

**იუტა:** ბუზერი (23 ქ. 7 მ. 7 პ), კირილენკო (23 ქ. 4 ჩ), დ. უილიამსი (11 ქ. 14 პ. 5 მ. 4 ჩ), ოქური (11 ქ. 5 მ).
**სან ანტონიო:** ჯინობილი (29 ქ. 4 მ. 3 პ), დანკანი (26 ქ. 11 მ), უდოკა (10 ქ. 5 მ. 2 ჩ).

**მემფისი-დალასი 84:103**

19:33, 25:28, 19:13, 21:19

**მემფისი:** გეი (18 ქ. 4 მ), ლოური (17 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ), ნავარო (16 ქ), გასოლი (13 ქ. 5 მ. 2 დ).
**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (26 ქ. 6 მ. 4 პ), ნოვიცკი (20 ქ. 11 მ), დ. ჰარისი (14 ქ. 3 მ. 3 პ), დემპსი (11 ქ. 12 მ).

**ნიუ ორლეანი-დენვერი 117:93**

33:22, 30:18, 24:28, 30:26

**ნიუ ორლეანი:** პოლი (23 ქ. 17 პ. 9 მ. 3 ჩ), სტოიაკოვიჩი (19 ქ. 2 ჩ), ელი (16 ქ. 9 მ), პარგო (13 ქ. 7 პ), დევიდ უესტი (13 ქ. 9 მ), ჩენდლერი (10 ქ. 16 მ. 3 პ).
**დენვერი:** აივერსონი (23 ქ. 3 პ. 3 ჩ), კენიონ მარტინი (18 ქ. 9 მ. 3 პ), კლეიზა (14 ქ. 3 პ. 3 ჩ), ჯეი. არ. სმიტი (14 ქ).

**კლიპერსი-შარლოტი 100:107**

22:29, 27:30, 22:24, 29:24

**კლიპერსი:** ტიმ ტომასი (29 ქ. 13 მ. 5 პ), კასელი (17 ქ. 7 პ. 4 მ), როსი (15 ქ. 4 პ), პაუელი (12 ქ. 6 მ), მობლი (12 ქ. 7 პ).
**შარლოტი:** ჯ. უოლასი (23 ქ. 8 პ. 6 მ. 3 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (20 ქ. 4 პ. 3 მ), ოკაფორი (14 ქ. 9 მ. 4 პ), დ. ანდერსონი (12 ქ), მოჰამედი (10 ქ. 3 ჩ), ფელტონი (10 ქ. 8 პ. 4 მ), მაკკინისი (10 ქ. 7 პ).

### კვირის მოთამაშეები

გასული კვირის შედეგების მიხედვით, აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებში საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს, შესაბამისად "ორლანდო მეჯიქის" მცველი **ჰედო თურქოგლუ** და "მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდი **ელ ჯეფერსონი**.

თურქი კალათბურთელი გასულ კვირას 25.5 ქულას აგროვებდა. ბოლო წამზე მის მიერ ჩაგდებულმა სამქულიანმა, "ორლანდოს" ლიგის ლიდერთან, "ბოსტონ სელტიქსთან" მოაგებინა.

უფრო შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა ჯეფერსონს. 4 თამაშში მისმა მონაგარმა 28.8 ქულა და 12.8 მოხსნა შეადგინა. თავად "მგლებმა" კი, ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ იმევე "ბოსტონთან" წააგეს ერთი ქულით. ჯეფერსონმა სამ მატჩში შეასრულა ორმაგი დუბლი.

## TV სპორტი

**30 იანვარი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. სტარტის წინ.
13:50 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
15:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.
18:45 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:00 სასტვენი.
21:30 ტოქ-შოუ - 2:1.
22:20 ლიბერტადორესის თასი. სტარტის წინ.
22:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
02:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-რედინგი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 სპორტდილაი.
09:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
12:02 ფეხბურთი. Barca TV.
12:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პალერმო.
13:54 სპორტული ისტორიები.
14:00 სპორტდილაი.
14:30 მძლეოსნობა. Samsung Gala. შვედეთი.
17:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ატლეტიკო.
18:52 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:44 ფეხბურთი. Barca TV.
19:52 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
20:20 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-სტ. ლუისი.
22:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:12 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
23:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-პორტსმუთი (LIVE).
02:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:12 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ტოტენემი.
03:59 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ფინიქსი (LIVE).
07:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ლივერპული.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
13:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
14:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
16:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. რუპოლდინგი. გერმანია.
19:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
20:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
00:00 მულტისპორტი.
00:05 ... ლაიპციგი. გერმანია.
01:05 ... ამსტერდამი. პოლანდია.
02:05 ახალი ამბები.
02:10 გოლფი. ევროპის ტური.
02:40 გოლფ-კლუბი.
02:45 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:50 აფროსნობა.
02:10 მულტისპორტი.
03:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა. განა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ნოვარა (იტალია)-ანკარა (თურქეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
19:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ნოვარა (იტალია)-ანკარა (თურქეთი).
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო (რუსეთი)-პარიზი (საფრანგეთი) (LIVE).
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
22:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. საფრანგეთი.
23:00 ახალი ამბები.
23:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ალმერია (ესპანეთი)-ყაზანი (რუსეთი) (LIVE).
01:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო (რუსეთი)-პარიზი (საფრანგეთი).
02:15 ახალი ამბები.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**აფრიკის თასი**

**B ჯგუფი**

**კოტ დ'ივუარი-მალი 3:0**

**კოტ დ'ივუარი:** ბარი, ებუე, ზორო, ფაე, რომარიკი, ტიენე, იაია ტურე, ზოკორა, დროგბა (75. ჯაკპა), ა. კონე, ა. კეიტა (59. ბ. კონე).
**მალი:** მაჰამადუ სიდიბე, ა. კულიბალი (47. დიალო), დ. დიაკიტე, კანტე, ტამბურა, ს. ტრაორე, სეიდუ კეიტა, ჯიბრილ სიდიბე, კანუტე (46. სისოკო), ბ. ტურე (60. დისა), დ. ტრაორე.
**გოლები:** 1:0 დროგბა (9), 2:0 ზორო (54), 3:0 ჯაკპა (86)
**მაყურებელი:** 23 000

**ნიგერია-ბენინი 2:0**

**ნიგერია:** ეჯიდე, ნვანერი, შიტუ, ტაივო, იობო, ეტუჰუ (74. ერომოიგბე), ობი მიკელი, უტაკა (52. ობინა), ოდემვინგი (90. აფოლაბი), უჩე, აიეგბენი.
**ბენინი:** ამუსუ, ადენონი, აჯამოსი (46. ოგუნბიი), ბოკო, ჩრისოსტომე, გასპოზი, ოკეტოლა, სესენონი (84. მაიგა), აპუეია, ომოტოიოსი, უ. ჩომოგო.
**გოლები:** 1:0 ობი მიკელი (53), 2:0 აიეგბენი (86)
**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 2. ნიგერია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 4 |
| 3. მალი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| 4. ბენინი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

**ინგლისი**

**არსენალი-ნიუკასლი 3:0**

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, გალასი, სანია, სენდეროსი, დიაბი (77. ჟილბერტო სილვა), ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი (82. უოლკოტი), ედუარდო და სილვა (71. ბენდტნერი).
**ნიუკასლი:** გივენი, კასაპა, კარი, როზენალი (57. ბარტონი), ს. ტეილორი, ბატი, დაფი, მილნერი (73. ამეობი), ნ'ზოგბია, ოუენი, ა. სმიტი.
**გოლები:** 1:0 ადებაიორი (40), 2:0 ფლამინი (72), 3:0 ფაბრეგასი (80)
**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 10(4)-8(3); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 1-8; **ჯარიმა:** 11-15; **ბურთის ფლობა:** 64%-36%
**მაყურებელი:** 60 127

**მიდლსბრო-ვიგანი 1:0**

**მიდლსბრო:** შვარცერი, გრაუნდსი, ჰუტი, უოტერი, იანგი, არკა, დაუნინგი (89. კატერმოლი), ო'ნილი, როშემბაკი, ალიადიერი (72. ა. ჯონსონი), თუნჯაი (34. მიდო).
**ვიგანი:** კირკლენდი, ბრემბლი, მელხიოტი, შარნერი, ბრაუნი, კილბეინი, პალასიოსი, ვალენსია, ბენტი (75. სიბირსკი), ჰესკი, კინგი (53. კუმასი).
**გოლი:** 1:0 ალიადიერი (19)
**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 7(3)-11(6); **კუთხური:** 4-9; **თამაშგარე:** 6-1; **ჯარიმა:** 12-14; **ბურთის ფლობა:** 50%-50%
**მაყურებელი:** 22 963

**ბოლტონი-ფულჰემი 0:0**

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, მიხალიკი, ჯ. ო'ბრაიენი (46. კოუნი), ე. ო'ბრაიენი, სტეინსონი, გარდნერი, გატრი (68. თეიმურიანი), მაკანი, ნოლანი, მ. ტეილორი (83. ჰელგუსონი), კ. დევისი.
**ფულჰემი:** ნიმი, ანდრეასენი, ბერდი, ჰანგელანდი, ა. ჰიზი, კონჩესკი, ფოლცი (74. კრისტანვალი), ბაღარდი (87. ბუაზა), ს. დევისი, დემპსი, დენი მერფი.
**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 15(4)-10(4); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 1-5; **ჯარიმა:** 11-14; **ბურთის ფლობა:** 48%-52%
**მაყურებელი:** 17 732

**სანდერლენდი-ბირმინგემი 2:0**

**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, კოლინზი, ევანსი, ნოსუორთი, მილერი, უაიტბრედი, იორკი (46. პრიკა), ჯონსი, დერილ მერფი, სტოკსი (63. ო'დონოვანი).
**ბირმინგემი:** მ. ტეილორი, კელი, კოდრუ, რიდგველი, შმიტცი, დ. ჯონსონი, კაპო, ლარსონი (66. ფორსელი), მუამბა, ჯერომი (66. სარატე), მაკფადენი
**გოლები:** 1:0 დერილ მერფი (15), 2:0 პრიკა (65)
**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 9(6)-5(2); **კუთხური:** 4-8; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 9-18; **ბურთის ფლობა:** 45%-553%
**მაყურებელი:** 37 674

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 24 | 17 | 6 | 1 | 49-17 | 57 |
| 2. მანჩ. იუნი | 23 | 17 | 3 | 3 | 46-11 | 54 |
| 3. ჩელსი | 23 | 15 | 5 | 3 | 36-16 | 50 |
| 4. ევერტონი | 23 | 13 | 3 | 7 | 40-23 | 42 |
| 5. ასტონ ვილა | 24 | 11 | 8 | 5 | 43-31 | 41 |
| 6. ლივერპული | 22 | 10 | 10 | 2 | 37-16 | 40 |
| 7. მანჩ. სიტი | 23 | 11 | 7 | 5 | 30-24 | 40 |
| 8. ბლეკბერნი | 24 | 10 | 8 | 6 | 32-31 | 38 |
| 9. პორტსმუთი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-23 | 37 |
| 10. ვესტ ჰემი | 22 | 9 | 6 | 7 | 28-21 | 33 |
| 11. ტოტენჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 44-40 | 27 |
| 12. ნიუკასლი | 24 | 7 | 6 | 11 | 27-42 | 27 |
| 13. მიდლსბრო | 24 | 6 | 7 | 11 | 21-37 | 25 |
| 14. სანდერლ. | 24 | 6 | 5 | 13 | 24-42 | 23 |
| 15. ბოლტონი | 24 | 5 | 7 | 12 | 24-34 | 22 |
| 16. რედინგი | 23 | 6 | 4 | 13 | 30-49 | 22 |
| 17. ბირმინგემი | 24 | 5 | 5 | 14 | 23-36 | 20 |
| 18. ვიგანი | 24 | 5 | 5 | 14 | 23-40 | 20 |
| 19. ფულჰემი | 24 | 2 | 10 | 12 | 23-42 | 16 |
| 20. დერბი | 23 | 1 | 4 | 18 | 11-50 | 7 |

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-კოლჩესტერი | 1:0 |
| კარდიფი-ქუინზ პარკი | 3:1 |
| ჩარლტონი-სტოკი | 1:0 |
| ჰალი-კოვენტრი | 1:0 |
| იფსვიჩი-პლიმუტი | 0:0 |
| პრესტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2:1 |
| შეფილდ-უოტფორდი | 1:1 |
| საუთჰემპტონი-ნორვიჩი | 0:1 |
| უელსი-უენსდი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩელტენჰემი-მილუოლი | 0:1 |
| ქრიუ-როვერსი | 1:1 |
| დონკასტერი-პორტვეილი | 2:0 |
| ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 1:0 |
| ლეიტონი-სვინდონი | 0:1 |
| ნორთჰემპტონი-ბრაიტონი | 1:0 |
| ნოტინგემი-სუონსი | 0:0 |
| ოლდჰემი-კარლაილი | 2:0 |
| პორტ ვეილი-იეოვილი | 2:2 |
| საუთენდი-ლიდსი | 1:0 |
| ტრანმერი-ჯილინგემი | 2:0 |
| უოლსოლი-ლეიტონი | 0:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| დარლინგტონი-აკრინგტონი | 1:0 |
| ბრედფორდი-შრიუსბერი | 4:2 |
| ბრენტფორდი-ნოტსი | 0:0 |
| ჩესტერი-როჩდეილი | 0:4 |
| გრიმსბი-ბერი | 1:0 |
| ლინკოლნი-მენსფილდი | 1:2 |
| მილტონი-მაკლსფილდი | 1:1 |
| მორკამბი-რექსჰემი | 2:2 |
| პიტერბრო-როტერჰემი | 3:1 |
| სტოკპორტი-ჩესტერფილდი | 2:2 |
| უიკომბი-დაგენჰემი | 0:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ოქსფორდი | 1:0 |
| ბარტონი-რაშდენი | 2:1 |
| კემბრიჯი-ვესტბერი | 0:1 |

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| რომა-სამპდორია | 1:0 (1:1) |

**გერმანიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ალემანია-მიუნხენი | 2:3 |
| ჰოფენჰაიმი-ჰანზა | 2:1 |
| ვუპერტალი-ბაიერნი | 2:5 |
| დორტმუნდი-ვერდერი | 2:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ამიენი-ლიბური | 1:0 |
| რეიმსი-ბასტია | გადაიდო |
| სედანი-ტრუა | 0:1 |

**შოტლანდიის ლიგის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| აბერდინი-დანდი იუნ | გადაიდო |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| რაპიდი-ვინტერტური | 3:0 |
| სტიაუა-მეტალურგსი | 1:0 |
| ბაზელი-ივერდონი | 1:0 |
| ბეითარი-ცსკა | 1:0 |
| არაუ-კრიენსი | 6:0 |

### კალათბურთი

**FIBA-ს თასი**

| | |
|---|---|
| ცსკ ვვს-პაოკ | 80:61 |
| ხიმიკი-ლოკომოტივი (რ) | 78:62 |
| ზაგრები-ოლიმპია | 63:58 |
| ტარტუ-ლაპეენრანტა | 78:72 |
| აელ-სპარტაკი (ს-პ) | 72:71 |
| ჩერკასი-ბანფითსფორი | 87:81 |
| დექსია-ურალ გრეიტი | 81:60 |

### ჰოკეი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-მანჰაიმი | 2:3 |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 2:6 |
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 3:3 პენ. 0:1 |
| კრეფელდი-აისბარენი | 2:5 |
| ნიურნბერგი-იზერლონი | 3:1 |
| ფრანკფურტი-დუისბურგი | 3:1 |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 0:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-მარტინი | 6:2 |
| კეჟმაროკი-მიკულაში | 5:1 |
| ნიტრა-ჟილინა | 2:5 |
| პოპრადი-სლოვანი | 3:0 |
| ტრენჩინი-კოშიცე | 2:6 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰპკ | 4:3 |
| კერპეტი-ესპოო | 6:2 |
| ლუკო-ტაპარა | 2:3 |
| პელიკანსი-კიეკო | 2:3 |
| ტპს-კაიპა | 4:3 |
| ჰიფკ-საიპა | 5:4 |
| ივესკიულა-იოკერიტი | 6:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ქლინი | 1:5 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ბერნი | ო.ტ. 4:3 |
| ბაზელი-სერვეტი | 3:5 |
| დავოსი-კლოტენი | 3:2 |
| ლანგნაუ-რაპერსვილი | 5:6 |
| ცუგი-ლუგანო | ო.ტ. 3:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-მორა | 2:2 |
| ბრიუნასი-ფრიოლუნდა | 3:5 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 4:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. ვინია დელ მარი**

| | |
|---|---|
| ჩელა-ფონინი | 6:7, 2:6 |
| ვასალო არგელო-პატიენსი | 6:4, 6:1 |

**ATP. ზაგრები**

| | |
|---|---|
| ბოლელი-კუნიცინი | 7:6, 6:4 |
| რეინოლდსი-ვანეკი | 6:1, 6:2 |
| სერა-გოლუბევი | 6:3, 0:6, 4:6 |
| გალვანი-ზოვკო | 3:6, 6:3, 6:7 |
| ბეკი-აისამი | 6:1, 3:6, 6:4 |
| კარანუშიჩი-სტახოვსკი | 1:6, 4:6 |
| დარკისი-მიულერი | 5:7, 6:4, 6:4 |

ეს საინტერესოა

# დევიდ ტუას რკინის ნიკაპი

თავისი 16-წლიანი პროფესიული კარიერისას, ამ კაცს ბოლო გენერაციის თითქმის ყველა უძლიერესი მძიმეწონოსანის წინააღმდეგ უჩხუბია. სხვადასხვა დროს **მაფაუფაუ ტავიტა ლიო მაფაუფაუ სანერივი ტალიმატასის**, ანუ ქალაქურად, უბრალოდ **დევიდ ტუას ლენოქს ლიუისის, კრის ბერდის, ოლეგ მასკაევისა** და ელიტის კიდევ არაერთი მტაცებლის წინააღმდეგ უსვრია აქეთ-იქით თავისი ვეება მუშტები და ვერცერთმა ოპონენტმა ვერ შეძლო სამოას კუნძულ უპოლუზე დაბადებული დევიდის არათუ ნოკაუტში ჩაგდება, მის წინააღმდეგ ნოკდაუნის დაფიქსირებაც კი. მოკრივე, რომელიც 2003-ში ყველა დროის მოკრივეთა რეიტინგში 48 ადგილზე გაიყვანეს, ლეგენდარული **ევანდერ ჰოლიფილდის** აზრით, პროფესიული კრივის ისტორიაში ყველაზე ძლიერი ნიკაპის პატრონია.

*"სიმართლე გითხრათ, ჩემი კარიერის განმავლობაში, ანუ, იმ წლებში, როდესაც რინგზე გავდიოდი, ვერ ვიხსენებ მოკრივეს, რომელიც არ დაუნოკდაუნებიათ. დევიდი ამ მხრივ ფენომენი იყო. რამდენიც არ უნდა გერტყა მისთვის, რა ძალის ოპონენტიც არ უნდა ჰყოლოდა ტუას, იგი ერთხელაც არ წაბორძიკებულა"*, - ამბობს ჰოლიფილდი.

ტუა ერთხელაც არ გამხდარა მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, თუმცა ფაქტია, რომ ამ ქარიზმატულმა ფიგურამ, რომელიც 10 წლის ასაკიდან ოჯახთან ერთად ახალი ზელანდიის მკვიდრად იქცა, მთელი ეპოქა შექმნა.

ბუმბერაზი ლენოქს ლიუისი, მაშინაც კი, როდესაც საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდა, ორჯერ დაანოკაუტეს, ოთხჯერ ანალოგიურად შეაჩერეს **ჰასიმ რაჰმანი**, სამ-სამჯერ კი ბრძოლა ნაადრევად **ვლადიმირ კლიჩკომ** და **კრის ბერდმა** შეწყვიტეს. ამ სიაში ასევე ნიჭიერი, მაგრამ თავქარიანი **რიდიკ ბოუი**, საძაგელი **ენდრიუ გოლოტა**, გაურკვეველი **მაიკლ მურერი**, ნიჭიერი, მაგრამ ხშირად ტრავმირებული **ჯონ რუიზი** და ყველას გამლახავი **მაიკლ ტაისონიც** შედიან.

იგივე მასკაევი, რომელიც ხუთჯერ დაუმარცხებიათ, ხუთივეჯერ რინგზე დასცეს და მან ერთხელაც ვერ გააგრძელა ბრძოლა. **სემ პიტერი**, რომელიც ამერიკულ მასმედიას რატომღაც სხვებზე მეტად მოსწონს, **ჯამეელ მაკლაინის** წინააღმდეგ ბოლო წლების ერთ-ერთ რეიტინგულ ტელებრძოლაში სამჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან აღნიშნული დაპირისპირება მაინც მოიგო.

ტუა პროფესიონალი 1992-ში გახდა და პირველ ბრძოლაში, იმავე წლის 1 დეკემბერს 22-ე წამზე (!) ნოკაუტით **რონ ჰამისი** დასცა.

ზუსტად ორ კვირაში დევიდ ლედიარდის 1000-კაციან დარბაზში **ლორენცო პულს** ხვდება და მასაც ნოკაუტით, ასევე პირველ რაუნდში უგებს.

იხსენებს ტუას დიდი ხნის დამრიგებელი **რონი შილდსი**, რომელიც დევიდს ყოფილ მოკრივე, **კევინ ბერისთან** ერთად წვრთნიდა:

*"დევიდს გაცილებით მეტისთვის უნდა მიეღწია, რადგან მისი ამტანობისა და გამძლეობის მქონე მოკრივეს ყველა და ყველაფერი უნდა გადაეთელა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს დევიდს ბრძოლისას ეძინა და ინერციით აგრძელებდა ჩხუბს. 1998-ში, სან ფრანცისკოში დევიდი კლივლენდ ვუდსს ხვდებოდა. ბრძოლის დაწყებამდე გავიგეთ, რომ ვუდსს საშხაპეში ტრავმა მიუღია და ბრძოლა შეიძლებოდა ჩაშლილიყო. დევიდი რინგზე მაინც გავიდა, ვუდსი კი არ ჩანდა. ბოლოს, დიქტორმა კლივლენდიც წარადგინა, მაგრამ ვუდსს მარჯვენა მაჯა შეშუპებული ჰქონდა და პრაქტიკულად, მას მოგების არანაირი შანსი არ ჰქონდა. დევიდს პირდაპირ ვუთხარი, ეგრევე მოათავე ყველაფერი და რაც შეიძლება ნაკლები ენერგია დახარჯე-მეთქი. ბრძოლა დაიწყო, მაგრამ ტუა არც კი ცდილობდა კლივლენდ ვუდსისთვის დარტყმას. პირველი რაუნდი დასრულდა და ვკითხე, რას აკეთებ, ბრძოლა თუ არ გინდა, ყველას პატივი გვეცი და გაეთრიე აქედან-მეთქი. დევიდმა თავი დააქნია, კარგი, კარგიო, მაგრამ მეორე რაუნდიც ასევე უინიციატივოდ დაასრულა და მესამე რაუნდის დაწყებამდე მისთვის სიტყვაც კი არ მითქვამს. თურმე, მოგვიანებით გავიგე, რომ დევიდს ტრავმირებული მეტოქისთვის მაგრად შეტევა არ სურდა და პასიური ბრძოლის გამო, მსაჯს იქნებ ბრძოლა ჩაეშალაო, ფიქრობდა ჩემი შეგირდი. მესამე რაუნდში კი ვუდსმა ერთი მაგარი მოსდო ტუას, რის მერეც დევიდმა კლივლენდს ბოდიში მოუხადა და მარცხნიდან ერთი დარტყმით ვუდსი დაანოკაუტა. დევიდს ლენოქს ლიუისის ძლევაც შეეძლო, მაგრამ ლენოქსთან ბრძოლისას არც კი უცდია, რომ დაღლილი მეტოქისთვის შეეტია."*

დევიდ ტუას ამ ეტაპზე პროფებში 49 გამარჯვება აქვს მოპოვებული. იგი სამჯერ დამარცხდა და ერთხელ, 2003 წლის 29 მარტს, **ჰასიმ რაჰმანის** წინააღმდეგ ჯახში მსაჯებმა ფრე გამოაცხადეს. 42 ორთაბრძოლა მან ნოკაუტით მოიგო.

ისევ რონი შილდსს მოვუსმინოთ: *"რაჰმანის წინააღმდეგ ბრძოლაში დევიდი პროფესიონალებში გადასვლიდან პირველად და უკანასკნელად წაიქცა, მაგრამ იმ არაკაცმა (რაჰმანმა) ბოლო, მეთორმეტე რაუნდის დასრულების შემდეგ ხელებდაშვებულ ტუას გვერდიდან გაარტყა და ეგრევე უკან გადახტა. დევიდი რომ გაგვეშვა, იქვე შეჭამდა რაჰმანს, მაგრამ იგი როგორღაც დავაკავეთ და ყველაფერი ნორმალურად დასრულდა."*

პროფესიონალებში არა, მაგრამ სამოყვარულო დონეზე დევიდ ტუა ერთ კაცს ჰყავს დანოკაუტებული. 1991 წელს, სიდნეიში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც ტუამ ნახევარფინალს უწია, სადაც არაპროფესიონალებში, ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მოკრივე, კუბელ **ფელიქს სავონთან** ნოკაუტით წააგო და მესამე ადგილს დასჯერდა. სხვათა შორის, სიდნეიშივე გაიბრწყინა შემდგომში პროფესიული კრივის ლეგენდად ქცეულმა **კოსტია ცზიუმ**, რომელმაც ოზეთში საბჭოეთის სახელით ოქროს მედალი მოიპოვა და რუსებს ერთადერთი უმაღლესი სინჯის ჯილდო შესძინა.

თავად ტუას აზრით, მის კარიერაში ყველაზე შთამბეჭდავი, ლამაზი და სანახაობრივად განუმეორებელი ორთაბრძოლა 1997-ში, საკრამენტოში შედგა. დევიდს მეტოქედ **იკე იბეაბუჩი** ჰყავდა და 12 რაუნდის მერე, ქულებით წაგების მიუხედავად, ტუამ და მისმა მეტოქემ დიდი ბრძოლა დადგეს.

*"ამ ბრძოლაში ტუამ და იბეაბუჩიმ პროფესიული კრივის ისტორიაში ყველაზე მეტჯერ მოარტყეს ერთმანეთს მუშტი. დევიდი თავიდან პასიურობდა, მერე კი უპირატესობა მოიპოვა, ორი რაუნდის განმავლობაში იბეაბუჩი უშანსოდ დატოვა და შემდეგ...კვლავ ჩაეძინა. საბოლოოდ, მსაჯებმა სრულიად დამსახურებულად მიანიჭეს ქულებით გამარჯვება იბეაბუჩის, ტუამ კი ის წაგება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს"*, - ამბობს რონი შილდსი.

ტუა 1992 წლის ოლიმპიადაზეც გამოვიდა და მართალია, ბარსელონაში სავონს ფინალამდე არ უნდა შეხვედროდა, დევიდი ამჯერადაც მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა, რადგან უინიციატივოდ ჩაატარა ნახევარფინალი ნიგერიელ **დავიდ იზონრიტეისთტან** და 7:12 დამარცხდა. სავონმა ფინალში ნიგერიელი 14:1 გაანადგურა.

შილდსი დევიდის კარიერიდან კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს იხსენებს: *"დევიდს ვერო ბიჩზე, ფლორიდაში ვავარჯიშებდი, ორი დღის მერე კი გავიგეთ, რომ ჩვენს შემდეგ დარბაზში ენრიუ გოლოტა უნდა შემოსულიყო, რომელიც დევიდთან ერთად, სააგენტო Main Ევენტსის კლიენტი იყო. გოლოტას ჩემი მეგობარი როჯერ ბლადუორსი წვრთნიდა და მან ჩვენი ბიჭების სპარინგის ჩატარება შემომთავაზა. დევიდი ეგრევე დათანხმდა სპარინგის ჩატარებას, გოლოტას კი თავიდან არ სურდა ტუას წინააღმდეგ რინგზე, თუნდაც მეგობრულად გასვლა, მაგრამ ბოლოს ისიც დათანხმდა. თავიდან ბიჭები მშვიდად, სპარინგისთვის შესაფერისად მოძრაობდნენ და პრინციპში, სანერვიულოც არაფერი იყო. შემდეგ, გოლოტამ ერთი დარტყმა გაატარა და გამწარებულმა, ტუას უცბად მუშტი მუცელში ხია. დევიდმა შემომხედა, რა გავაკეთოო, თუმცა ის დარტყმა შემთხვევითობად ჩავთვალე და რინგიდან გამოსვლა არ გაბედო-მეთქი, ვუთხარი. სპარინგი გაგრძელდა და გოლოტამ შესვენებისას დევიდს უპანღურა, რამაც ტუა საბოლოოდ გააცოფა და გოლოტას ისეთი შემოარტყა, ენდრიუმ გონება დაკარგა, მერე კი მთელი სახე ერთ დიდი გემატომად ექცა. ამის შემდეგ დევიდისა და ენდრიუს სპარინგი აღარ გამართულა, პროფესიულ დონეზე კი ისინი ერთმანეთს, საბედნიეროდ არ შეხვედრიან."*

თქვენ წარმოიდგინეთ, მას მერე შილდსი გოლოტას ბანაკში გადადის, ხოლო დევიდ ტუას მწვრთნელად და ამავე დროს, ფსიქოლოგად როჯერ ბლადუორსი აჰყავს.

შეძლებს თუ არა დევიდი პროფესიული კრივის ელიტაში დაბრუნებას?

*"იგი ელიტიდან არც არასოდეს გავარდნილა, უბრალოდ, დევიდმა შესვენება აიღო და რაჰმანთან 2003 წლის ბრძოლის მერე, ორი წელიწადი არ გასულა რინგზე. ამ მომენტში, დევიდ ზედმეტი წონის დაგდებას ცდილობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სულ მალე რინგზე გავა"*, - ამბობს ბლადუორსი.

2008-ში დევიდ ტუა შეიძლება **ვლადიმირ კლიჩკოს** შეხვდეს. ამ ბრძოლაზე ჯერ კიდევ შარშან საუბრობდნენ, თუმცა პრომოუტერებმა ერთმანეთში ფული ვერ გადაინაწილეს და ბრძოლა არ შედგა. ნებისმიერ შემთხვევაში, დევიდ ტუას რკინის ნიკაპი ახალი დარტყმებისთვის გასაძლებად მზად არის.

ბოლოს კი ყველა დროის ხუთ ყველაზე დიდ "რკინის ნიკაპს" წარმოგიდგენთ.

### 1. დევიდ ტუა.

### 2. ჯორჯ ჩუვალო

კანადელი "რკინის კაცი" 93 (!) ბრძოლაში ძირს ერთხელაც არ დავარდნილა და ორჯერ თვით **მუჰამედ ალიმ** მას მხოლოდ ქულებით მოუგო. ერთხელ, ჩუვალოს **ჯო ფრეზერის** წინააღმდეგ ბრძოლის ნაადრევად შეწყვეტა ტრავმის გამო მოუხდა, ხოლო კიდევ ერთ ლეგენდა, **ჯორჯ ფორმენთან** ჩუვალო ბოლომდე კაცურად იდგა რინგზე და მასთანაც ოდენ ქულებით დათმო ჯახი. მასსავით გამძლე **ჯერი ქუერის** ჩუვალომ შვიდ რაუნდში აჯობა.

### 3. როკი მარჩიანო

**როკი მარჩიანოს** 49-ვე ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ აქვს დასრულებული და მხოლოდ ორჯერ მოახერხეს მისმა ოპონენტებმა ლეგენდარული მარჩიანოს დანოკდაუნება, მაგრამ როკიმ ორივეჯერ, ჯერ **ჯერსი ჯო უოლკოთს**, მერე კი **არჩი მურს** მოუგო. **ეზარდ ჩარლზმა** მარჩიანო მათი ორივე დაპირისპირებისას დაასისხლიანა, მაგრამ როკი ჯიუტად მიიწევდა წინ და ჩარლზს ორივეჯერ აჯობა. მათი მეორე ჯახის მერე, ჩარლზმა მარჩიანოს "მშიერი გრიზლი" უწოდა.

### 4. მარვინ ჰაგლერი

**ჰაგლერი** ნოკდაუნში ერთადერთხელ, არგენტინელ პირუტყვ **ხუან დომინგო როლდანთან** ჩავარდა, თუმცა მეტოქეს მაინც აჯობა. მან ბოლომდე გაუძლო 80-იანებში ერთ-ერთ უძლიერეს **ჯონ მუგაბის** დარტყმებს და **ტომას ჰირნსის** წინააღმდეგ, ლეგენდად ქცეულ სამრაუნდიან ომშიც იმარჯვა.

### 5. ჯეიკ ლამოტა

ბევრი ვერ გაუძლებდა დარტყმათა იმ მომაკვდინებელ სერიას, რომელიც **ჯეიკ ლამოტას** 1951-ში, ლეგენდარული **შუგარ რეი რობინსონისგან** შეხვდა. ასზე მეტ ორთაბრძოლაში, ლამოტა მხოლოდ ოთხჯერ ჩააგდეს ნოკაუტში - ერთხელ რობინსონმა, მეორედ ბილი ფოქთან "ჩაწყობილ" ჯახში და კიდევ ორჯერ მაშინ, როდესაც ჯეიკი (რომელიც მოგვიანებით **რობერტ დე ნიროსთვის** ლაგინგ Bულლ-ში ჰოლივუდის სუპერვარსკვლავისთვის ერთ-ერთ უდიდეს როლად იქცა) კარიერის დალმასვლას განიცდიდა და კრივს სერიოზულად აღარ ეკიდებოდა.

**ზურაბ თალაკვაძე**




სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**